ოთხშაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 25 (7) № 235
წელიწადი მესამე

ოთხშაბათი, 1917 წ. ღვინობისთვის 25 (7) № 235
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.
რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა
გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა წარმოდგენილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გაზეთის შინაარსი

ცნობებიდან

იტალიეთში გერმანელთა შეტევა გრძელდება.—ამერიკა იტალიეთს სამხედრო მასალას აწვდის.—ამერიკამ რუსეთს 31.700.000 დოლლარი ასესხა.—ბელორუსეთის ჯარის ყრილობამ დაადგინა ავტონომია განახორციელოს.—პოლონეთის მეფედ ავსტრიის იმპერატორ კარლოს აცხადებენ.—ვიბორგის ყაზახთა პოლკმა ფინური გაზეთი „კარიალა" დახურა.—კავკავში მთიელთა და ყაზახთა კავშირი დაარსდა; დამტკიცდა კავშირის დებულება; კავშირში სხვათა შორის შედიან სოხუმისა და ზაქათალის ოლქები.—კავკავის რკინის გზაზე საბარგო და საფოსტო მატარებლები დაიმსხვრნენ; მოკლულია 25, მძიმედ დაშავებული 70.

წერილებიდან

მთავარი. რუსული უნივერსიტეტი.
დ. კასრაძე. თანამედროვე იტალიეთი.
ქართული პრესა. ვასილ წერეთელი: საზღვრების გადამიჯვნის შესახებ.
სომხური პრესა. სომხები და ქართველი სოც.-დემოკრატები („მოლოტიდან").

მ. ჯანაშვილი. ზოგიერთა ქართული სახელები.
ქ. მაჭავარიანი. ქვის ლობიო.
კორესპონდენცია რაჭა-ლეჩხუმიდან.

მაჰმადიანთა პოლკები.
ყაზახთა და მთიელთა კავშირი.

ამიერ-კავკას. სააფთიაქო საქონ. მოვაჭრეთა სააქციონერო საზოგადოების

დამაარსებელი მოიწვევს მეაფთიაქეებს, სააფთიაქო საწყობების პატრონთ და ფარმაცევტებს მობრძანდნენ კრებაზე ქალაქ ქუთაისში ღვინობისთვის 29-დან—31-მდე. კრებაზე განსახილველია საზოგადოების წესდება. ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების დამაარსებელ ლ. კოკოჩაშვილთან. (2—855—1)

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის თბილისის ქალაქის გამგეობისაგან.

თბილისის ქალაქის გამგეობა ამით აცნობებს მოქალაქეთ, რომ დამფუძნებელ კრების საარჩევნო, თბილისის ამომრჩეველთა სიები უკვე დასრულებულია და მათი ნახვა შეიძლება ღვინობისთვის 27-დე შემდეგს ადგილებში: ქალაქის გამგეობის სათათბირო დარბაზში თბილისის ყველა მცხოვრებთათვის. სიების ნახვა შეიძლება აგრეთვე უბნების შემდეგ ადგილებში
1-ლი უბნის—ქალაქის სკოლაში, მაჩაბლის სახლი, ოლღას ქუჩა № 52.
მე-2 ე უბნის—არტისტიულ საზოგადოების საზამთრო შენობაში.
მე-3-ე უბნის—ქალაქის გამგეობაში.
მე-4-ე უბნის—სახელოსნო სასწავლებელში.
მე-5-ე უბნის—ქალაქის სამკურნალოში ვორონცოვის ქუჩაზე.
მე-6-ე უბნის—ნადეჟდის თავშესაფარში რეიტერის ქუჩაზე.
მე-7-ე უბნის—ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობაში.
მე-8-ე უბნის—ქალაქის სკოლაში პასკევიჩის ქუჩაზე.
მე-9-ე უბნის—ქალაქის სკოლაში ჩერქეზიშვილის ქუჩაზე № 32.
მე-10 ე უბნის—ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში.
მე-11-ე უბნის—ქალაქის სკოლაში ჩერქეზიშვილის ქუჩაზე № 100.
მე-12-ე უბნის—საამქროების სადგურზე (მუშტაიდში).

ამომრჩევლებს შეუძლიათ ღვინობისთვის 27-დე სიების შეცდომებზე ქალაქის გამგეობაში საჩივრები შეიტანონ.

საჩივრების შეტანა შეიძლება 10 საათიდან—3 საათამდე და საღამო 7-დან 9-მდე.

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ საგუბერნ. კომისიისაგან.

მოქალაქე ამომრჩეველნო!

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი თბილისის საგუბერნიო კომისია გაცნობებთ, რომ თბილისის გუბერნიის საარჩევნო სიები საყოველთაო ყურადღებისათვის ღვინობისთვის 20-დან გამოქვეყნდება. იმ პირთ, რომელნიც საარჩევნო ხმით სარგებლობენ, ღვინობისთვის 21-დან 27-მდე შეუძლიათ ამ სიების ნაკლულოვანებანი განაცხადონ მაზრისა და ქალაქის კომისიებში, რომელთაც მინდობილი აქვთ დამფუძნებელ კრებისათვის არჩევნების წარმოება. კომისიები საჩივრებს ღვინობისთვის 28-დან 30-მდე განიხილავენ. (3—813—1)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროის განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თბილისის

პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუღალტერ კალატოზიშვილთან.

წარმოდგენა № 7.
ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის
სახალხო სახლი
სახ. სახ. არს. ქართვ. წარმ. მმართვ. წრე.
ოთხშაბათს, 25 ოქტომბერს 1917 წ., წარმოდგენილი იქნება
„იმედის" დაღუპვა
დრამა 4 მოქმ. ჰეიერმანსისა; თარგ. ლ. მესხისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ✦ ადგილების ფასი 1 მ. 20 კ. 25 კ-დე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 ს.
შემდეგი წარმოდგენა 1 ნოემბერს.
რეჟ. ქ. შათირიშვილი. რეჟ. თანაშ. ალ. ბადრიძე.
(2—812—2) ქარ. ს. ხ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

ამიერ-კავკასიის ბანკში
(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)
იყიდება
ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.
დაწვრილებითი ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—24

საქართ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხიდისთავის კომიტეტი

(გურია) ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე საკუთარ პარტიულ კლუბში.

ქართული კლუბი
ქართული დრამა. წარმოდგენა № 10.
ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს, 1917 წ. თბილისის ქართულ დრამ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ ქართულ სცენაზე ახალი პიესა არციბაშევისა
ომი
დრ. 4 მ. თარგ. ა. იმედაშვილისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე ტ., ქიქოძე ნ., შოთაძე ან., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარამძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარხნიშვილი ი., იმედაშვილი ა., კობახიძე ი., მატარაძე ვ., ჭიჭიძე ს., შალიკაშვილი ვ.
რეჟ. ვ. შალიკაშვილი.
ანონსი: შემდეგი წარმოდგენა ოთხშაბათს, 26 ოქტომბერს ახალი პიესა ნ. შიუკაშვილისა „სულელი".
(2—814—1)

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.
თ—10

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
ტელეფონის № 14—09
თ—719—33

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
დებულობს ავადმყოფებს სად. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, [illegible] ყვავილის შეშხაპუნება. [illegible] ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრონიზაციით წამლობა, მასსაჟი, [illegible] და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3, (1-ლი სამილიციო ნაწილი).
37—748—თ.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განაახლა
ავადმყოფების მიღება.
10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.
ოლღას ქუჩა, № 22.
25—823—11

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ასოშინაგანთ (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—38)

თბილისი, ღვინობისთვის 24.

რუსული უნივერსიტეტი

როგორც გაზეთები იუწყებიან, სახალხო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია ახლო ხანში პროექტი წარუდგინოს დროებითს მთავრობას, რომლის მიხედვით რუსული უნივერსიტეტი უნდა დაარსდეს საქართველოს დედა ქალაქში, თბილისში. თბილისის ქალაქის გამგეობამ სახალხო განათლების სამინისტროსაგან შეკითხვა მიიღო კიდეც: მუნიციპალიტეტმა უნდა გამოარკვიოს რა თანხის გაღება შეუძლია ქალაქს უნივერსიტეტის შესანახავად, აქვს თუ არა შესაფერი ადგილი და შენობები და სხ.

მკითხველს ეცოდინება, რომ მომავალი წლის პირველ იანვრიდან თბილისში ქართული უნივერსიტეტიც უნდა გაიხსნას. ამ გვარად თბილელი მოქალაქეების დიდის ხნის ნატვრა უცნაურად სრულდება: ამ ცოტა ხნის წინად დაარსებულ უმაღლეს საქალებო კურსებსა და პოლიტეხნიკურს ინსტიტუტს ორი უნივერსიტეტი ემატება. მომავალ წლიდან თბილისში შეიძლება ოთხი უმაღლესი სასწავლებელი იქნეს.

ეს უხვი წყალობა, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ ომის დროს მთავრობა იძულებული გახდა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ევაკუაცია მოეხდინა მტრის მიერ დაჭერილი ტერიტორიიდან. თბილისზე ადრე სარატოვმა და პერმმა მიიღო უნივერსიტეტი. მაგრამ რადგან ვარშავასა, რიგასა და დორპატიდან საუნივერსიტეტო წიგნთ-საცავებისა, კლინიკებისა და ლაბორატორიების გადმოტანა შეუძლებელი იყო, უმაღლეს სასწავლებლის ევაკუაცია არსებითად მხოლოდ რუსი პროფესორების ევაკუაციაში გამოიხატა. ვარშავისა და დორპატის პროფესორები კი აგრეთვე სახარბიელოს არაფერს წარმოადგენდნენ, მიტომ რომ, როგორც ცნობილია, მათი საუკეთესო უფრო რუსიფიკაციის სასტიკ ბრძოლაში, ვიდრე მეცნიერების სფეროში.

თავისთავად ცხადია, რომ თბილისის მომავალი რუსული უნივერსიტეტი ბევრით არ ჩამორჩება სარატოვისა თუ პერმის უნივერსიტეტს. ძნელი საფიქრებელია, რომ ცნობილი რუსის მეცნიერები თბილისში წამოვიდნენ, მაშინ როცა რუსების უნივერსიტეტები ცარიელ კათედრაზე მეტი თავისუფალია. ჩვენ არც ხეირიან წიგნთ-საცავსა ან ლაბორატორიას დავეუფლებით: თვით შიგა რუსეთის პროვინციული უნივერსიტეტები ხშირად მოკლებულია ვერცხლსაც და მეორესაც. მივიღებთ მხოლოდ რამდენიმე უნიჭო პრივატ-დოცენტს, რომელთა პერსპექტივები უნუგეშოა შიგა რუსეთში. უეჭველია, რომ ასეთი უმაღლესი სასწავლებელი ვერ იხეირებს საქართველოს დედაქალაქში, რადგან მას არ ექნება ფართო საზოგადოების თანამგრძნობა.

სულ სხვა მდგომარეობაში იქნება ქართული უნივერსიტეტი. უმაღლესი ჰუმანისტური განათლების ტრადიცია, რომელიც აყვავების საუკუნეებში გვქონდა ძვე, ჯერ კიდევ არ მისპობილა ქართველ საზოგადოებაში. საჭიროა ამ ტრადიციების გაცხოველება. მას შემდეგ რაც პირველ დაწყებითი

სკოლისა და საშუალო სასწავლებლის გაქართულება მოხდა, ქართული უნივერსიტეტის დაარსება ლოგიკური აუცილებლობაა, უმისოთ აზრი ეკარგება ნაციონალიზაციის იდეას. რა ჰქმნას ქართული გიმნაზიის ან რეალური სასწავლებლის აბიტურიენტმა თუ უმაღლესი სასწავლებლის კარები ფაქტიურად დახშული იქნება მისთვის? მას გაუძნელდება უმაღლესი განათლების მიღება უცხო ენაზე, მას შემდეგ რაც დედაენაზე საშუალო განათლება მიიღო.

ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს დროებითმა მთავრობამ და ქალაქის საბჭომაც, ისინი ვალდებული არიან ფინანსიური დახმარება აღმოუჩინონ ქართულ უნივერსიტეტს და არა მის მოქიშპე დაწესებულებას, რომელსაც მტკიცე ნიადაგი არ ექნება საქართველოს დედა ქალაქში.

თანამედროვე იტალია

3. მაძინი. ამოძრავებულ იტალიას ჰქონდა გარკვეული სახე მიეღო. აი სწორედ ასეთს დროს აღიმაღლა ხმა მაძინიმ. აღფრთოვანებული პუბლიცისტი, უაღრესად მორწმუნე ადამიანი, თავისუფლებას სთვლიდა უზენაეს ძღვნად, რისთვისაც ღმერთი ბრძოლას აკისრებს ადამიანებს. „ღმერთი და ხალხის თავისუფლება“! აი რას ამბობდა იგი. იგი არაფრის წინაშე აღარ სდგება. ოღონდაც განთავისუფლდეს ერი მისი და რაც კი რამ საჭიროა, დეე, ყოვლისფერი კანონიერი იყოს! თუ საჭიროა შეთქმულობა, ვისიმე მოკვლა, აჯანყება,—ეს უნდა მოხდეს. თავისუფლება მოითხოვს არა თუ გულის მეგობარი, თვით პირმშოც ცრემლებით გასტუმრო სამსხვერპლოზე შესაწირად, კერპების საზიდად, სახრჩობელაზე ასაყვანად! მხოლოდ ასეთის გზით შეიძლება ხალხის გამოფხიზლება, რათა მის წინაშე გარდაშლილი იდეალები არ მიეცნენ მიძინებას. და აი, მაძინი, სავონის ციხიდან საზღვარ გარედ გადაკარგული, აარსებს პირველად ახალგაზრდათა ჯგუფის კავშირს „ახალგაზრდა იტალიის“ სახელით. ამ ჯგუფს იგი წრთვნიდა. ყოველი წევრი ამ კავშირისა მაძინის მიერ შედგენილს ფიცს ასეთის სახით სდებდა ერის წმინდა საკურთხევლის წინაშე: „ვფიცავ სიკვდილის სიწითლეს, რომელიც ჰფარავს ჩემს სახეს, როდესაც უცხო მოქალაქეთა შორის ვდგევარ და ვრწმუნდები, რომ მე არა მაქვს მოქალაქის უფლება, არც სამშობლო, არც ეროვნული დროშა... ვფიცავ იტალიელ დედათა საღმრთო ცრემლებით, რომელნიც მათ დააფრქვიეს დაღუპულ შვილთა გამო, ვფიცავ სახრჩობელაზე აყვანილთა, სამარადისოდ დევნილთა და ტანჯულ-წამებულთა უწმიდეს სახელს, რომ ვემსახურო ერთად ერთს მიზანს—სამშობლოს ერთიანობას, რათა შევქმნათ ძლიერი, თავისუფალი, დამოუკიდებელი, გაერთიანებული დიდი იტალიის რესპუბლიკა!“

მაძინის მიერ დაარსებული კავშირი მალე გაფართოვდა. თითქმის იტალიის ყოველს კუთხეში ნახავდით ფარულს კომიტეტებს, რომელნიც დაუღალავად იბრძოდნენ იტალიის თავისუფლებისათვის. ამ კავშირის არსებობაზე პირველად გაიგო ამბავი ერთმა ახალგაზრდა კაპიტანმა, რომელიც სავაჭრო გემით შავს ზღვაზე ტაგანროგიდან მოდიოდა. ეს იყო ჯუზეპე გარიბალდი. „ნეტავ თუ კოლუმბმაც ის სიამე განიცადა, რაც მე ამ ამბით გავიხარე“,—ამბობს გარიბალდი თავის მემუარებში. იგი უმალვე დაუახლოვდა აღფრთოვანებულს მაძინის, რომელიც ამ დროს მარსელში სცხოვრობდა. როგორც აღფრთოვანებულმა ჭაბუკმა გარიბალდიმ მონაწილეობა მიიღო ერთ ერთს აჯანყებაში 1833 წ., რომელიც მარცხით დათავდა. სხვებთან ერთად გარიბალდისაც გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ გარიბალდი არგენტინაში გაიქცა და შორის საძიებლად საკმაო სამხედრო განვითარება მიიღო. ამ ორ გმირის შუა მიწერ-მოწერა არ შეწყვეტილა. ორივენი მხურვალედ განაგრძობდნენ მუშაობას სამშობლო ქვეყნის სახსნელად.

4. რევოლუცია. მაძინი მოძრაობას თითქმის 50 წლებამდე უძღვა სათავეში. თუ მის მოქმედებას ნაყოფი ვერ გამოიღო, ეს აიხსნება სასტიკ რეაქციონერ პაპა გრიგორი XVI წყალობით. მაგრამ აი, პაპა მიიცვალა 1846 წელს და მის ადგილას ავიდა პაპა პი IX, ადამიანი ცნობილი თავისი ჰუმანიური გრძნობებით. იტალიელი პატრიოტები მასში ჰხედავდნენ ავსტრიელთა დაუძინებელს მტერს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პაპამ ამნისტია გამოაცხადა პოლიტიკურ დამნაშავეთა სასარგებლოდ. ცენზურა შესუსტდა, რომში ეროვნული გვარდია დაიარსა, ამის გარდა შეადგინა სახელმწიფო საბჭო, რომელშიაც ერის კაცებიც შედიოდნენ.

პაპის რეფორმებით გახალისებულ იტალიელებმა უფრო თამამად ამოიღეს ხმა. მაგრამ თვით მმართველნი ფრთხილობდნენ და ზევიდან ახდენდნენ რეფორმებს, ვიდრე ხალხი აჯანყებაზე გადავიდოდა. პაპის მაგალითს მიბაძეს ტოსკანისა და სარდინიის მეფეებმა. სამაგიეროდ გაჯიქდა სიცილიის მეფე, არა შეიწყნარა-რა და სწორედ რევოლუციის ყუმბარამაც პირველად აქ იფეთქა 1848 წ. იანვარში. სიცილიას მიჰყვა ნეაპოლი, შემდეგ მოძრაობამ საზოგადო ხასიათი მიიღო. პაპამ ამ აჯანყებულ სამეფოებისა და სამთავროების გამგებელთა თანხმობით შეიმუშავა კონსტიტუცია, რაიც გამოქვეყნებულ იქმნა მარტში.

ამ საზოგადო განახლებას არ თანაუგრძნობდა ლომბარდია და ვენეცია, რომელნიც ავსტრიელთა ხელქვეით იყვნენ. მაგრამ საზოგადო აღფრთოვანებას მთელს იტალიაში დაერთო პარიზის 24 თებერვლის რევოლუცია, რამაც თვით ვენაც კი აჯანყა და „წესიერების კლდე“ მოხუცი მეტერნიხი აიძულა ინგლისში გაქცეულიყო. ამ ამბავით გათამამებულმა მილანელებმა და ვენეციელებმა მხარი მხარს მისცეს ერთმანეთს და ხუთი დღის განმავლობაში იტალია განთავისუფლებული იქმნა ავსტრიელთა ბატონობისაგან. ვენეციამ იმ დღესვე წმ. მარკოსის რესპუბლიკა გამოაცხადა...

ავსტრიელ მმართველთა გარეკვა თავის თავად ჰგულისხმობდა როგორც იტალიელთა შორის გაერთიანების იდეის გაძლიერებას, ისე რეაქციას და ავსტრიელთა სამხედრო სამზადისს შურის საძიებლად. და მართლაც, თუ ერთის მხრით ვხედავთ, რომ გამარჯვებული ხალხი ოვაციებით მიეგება სარდინიის მეფეს ალბერტს, დიდის ხალისით ეწერებიან ეროვნულ ლაშქრის შესადგენად და თითქმის იტალიის ყველა სამთავრონი მის გარშემო იკრიბებიან, სამაგიეროდ ავსტრია სცდილობს დრო არ დაჰკარგოს და საკმაო ჯარს ჰგზავნის ბებერ სარდალ რადეცკის მეთაურობით, როგორც აჯანყების ჩასაქრობად, ისევე ძველი ბატონობის განსამტკიცებლად. ამნაირად, 40 წლის რევოლუცია იტალიაში ერთსა და იმავე დროს გაშლილი დროშაა როგორც იტალიის გაერთიანებისა, ისე ამ გაერთიანების შეგნებული ნაბიჯი, რომ უცხოელთაგან დამოუკიდებლობა სამართალზედ დაეკანონებინათ!

დ. კახრაძე

(შემდეგი იქნება)

ქართული პრესა.

გადამიჯვნის საკითხი

გაზეთ „ჩვენი ქვეყანა“-ში გახილ წერეთელი ლორისა და ახალქალაქის თბილისის გუბერნიიდან ჩამოჭრის შესახებ სწერს:

„რა უნდა დაედვას საფუძვლად გამიჯვნას? გადამიჯვნის მომხრენი მხოლოდ ეთნოგრაფიულ პრინციპს ეყრდნობიან. ცხადია კი, რომ ამგვარი გადამიჯვნა დიდ ზიანს მიაყენებდა ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიურსა და კულტურულ წარმატებას.

რომელი სახელმწიფოა დედამიწის ზურგზე, რომ ერთის ეთნოგრაფიულ ერთეულს შეადგენდეს?

მაგალითად, მარტო ეს პრინციპი, რომ ყურადგვეღო, რაჭის მაზრის ნაწილი—კუდარო რაჭისათვის უნდა ჩამოგვეჭრა და პირიქით ოსეთთან მიგვეკერებია, რომელთანაც არავითარი ეკონომიური დამოკიდებულება არ აქვს! ყირიმის თათრებს შავი ზღვის ჩრდილო ნაპირები მთლად უნდა მოეწყვიტათ რუსეთისთვის! ციმბირს, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობა რუსებია, ავტონომია არ უნდა მოეთხოვა! უკრაინას, რომლის ენა მცირეოდნად განსხვავდება რუსულისაგან, თავისი ტერიტორიის ავტონომია უნდა უარეყო. ეგრედ-წოდებულ ბელორუსებს, რომელთა ენა კიდევ უფრო ნაკლებად განსხვავდება რუსულისაგან, ავტონომია არც კი უნდა ეხსენებინათ!

პირიქით, ხსენებული ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ფარგალს მარტო ეთნოგრაფიული პრინციპი კი არ უნდა დაედვას საფუძვლად, არამედ ეკონომიურ-გეოგრაფიულიც.

ამას წინეთ ლორისა და ახალქალაქის მაზრების მცხოვრებთა ყრილობებმა საჯაროდ განაცხადეს: ჩვენი ქვეყნები რომ თბილისს მოსწყდენ, ქონებრივად და კულტურულად დაქვეითდებიან და არავის არ მივსცემთ უფლებას ეს საკითხი უჩვენოდ გადასწყვიტოს! ვაი თუ მათი პროტესტი დარჩეს ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!

რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ამ მაზრებს ერევნის გუბერნიაში გადასვლამ? რაში გამოადგებათ კარგი გზატკეცილები ერევნისკენ, როდესაც სავაჭრო კავშირი უმთავრესად თბილისთან აქვთ?! რისთვის უნდა შეიწუხონ თავი და იარონ ერევნის საოლქო სასამართლოში, როცა დავა თითქმის მხოლოდ თბილისელებთან აქვთ და ექნებათ კვლავაც?!

ამგვარად ამ მაზრებს თბილისის გუბერნიისაგან ჩამოჭრა საქართველოს ეკონომიურ მთლიანობას დაარღვევდა და საზიანო იქნებოდა როგორც მთელის ჩვენი ქვეყნის, აგრეთვე უმთავრესად თვით ჩამოჭრილი მაზრებისათვის“.

სომხური პრესა

სომხები და ქართველი სოციალდემოკრატია.

დაშნაკელები აღარ სცხრებიან. მეტად გაართულეს იერიშები ქართველ სოციალდემოკრატებზე. იერიშებს საბაბად ახლა ერობისა და გადამიჯვნის საკითხები გაიხადეს.

აი რასა სწერს დაშნაკელი ა. შახატუნიანი გაზ. „მოლოტ“-ის მე-18-ე ნომერში:

„დაშნაკცუტიუნ“-ს არასოდეს და არსად ცალკე არ უმუშავნია ერობისა და გადამიჯვნის საკითხებზე. როგორც პეტროგრადს ისე თბილისში ჩვენი წარმომადგენლები ყოველ თათბირზე და ყველა კომისიაში სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან ერთად მუშაობდნენ. ყველა კომისიებში დამსწრენი დაადასტურებენ, რომ ხშირად სოციალდემოკრატები აკლდებოდნენ. კომისიაში თვითეულ ეროვნებას ხუთ-ხუთი წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა. მაგრამ კომისიაში წესიერად მხოლოდ სომხეთა პარტიის წარმომადგენლები დაიარებოდნენ. სახელდობრ: დაშნაკელები, სოციალდემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები. მუდამ აკლდებოდნენ ქართველი სოციალდემოკრატები და ფედერალისტები. ბეჯითად დაიარებოდნენ მხოლოდ ქართველი ნაციონალისტები (ნაციონალ-დემოკრატები). ჩვენი მიმართვები ამის შესახებ უშედეგოდ რჩებოდნენ. ბატონმა ჟორდანიამ გახსნა სხდომა ერობის შესახებ და პეტროგრადს გაემგზავრა როგორც ქართველ პარტიების შეერთებულ საბჭოს წარმომადგენელი. ამას შემდგომ პრესა გვამცნობდა. **ამის შემდეგ ჩვენ საერობო კომისიაში სოციალდემოკრატები არ გვინახავს.** (ხაზი ავტორისაა). ქართველ დემოკრატიის წარმომადგენლებად, ალბად სოციალ-დემოკრატების თანხმობითაც, ბ.ბ. გვაზავა და ვეშაპელი იყვნენ. მათ მეტი არავინ ყოფილა და ამის შემდეგ კი გვიკიჟინებენ, ვითომც ჩვენ მუშაობა არ გვსურდეს. რითი აიხსნება ეს? მე ღრმად დავრწმუნდი რომ ქართველ სოციალდემოკრატების მოქმედებას კავკასიაში სრულიადაც არ შეეფერება მათი საერთაშორისო ოფიციალი დროშა. ფიქციებს რომ თავი დავანებოთ, უნდა შევურიგდეთ იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ ქართველ სოციალდემოკრატიამ თავისა და დანარჩენ ქართველ ნაციონალისტებისათვის ერობის დანაწილება შემოიღო. არის ისეთი საკითხები, რომლის შესახებაც, როგორიცაა, მოუხერხებელი სოციალისტებისათვის გამოსვლა...ასეთ შემთხვევებისათვის მათ მზად ჰყავთ ოფიციალი ნაციონალისტები, რომელთაც რა თქმა უნდა სულით და გულით სრულიად ეთანხმებიან „სოციალდემოკრატები“. ასევე იყო გადამიჯვნის საკითხიც. სოციალდემოკრატებმა, ისე როგორც ნაციონალისტებმა მოისურვეს, რომ საქართველოს საზღვრებში ახალქალაქი და ლორე მოქცეულიყვნენ; ამასთან მათ სურთ, რომ სომხები ამიერ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებიდან გარიყულნი დარჩნენ. ასეთ საჩოთირო საკითხში ხომ მათთვის გამოსვლა უხერხულია, და აი მოუწოდებენ საშველად გვაზავას და ვეშაპელს, ამას წინად კი დიდ მთავრის საერობო თათბირის რაინდებს აფხაზსა და მაჩაბელს უხმობდნენ. ქართველ სოციალდემოკრატიისათვის „დაშნაკცუტიუნ“ ნამდვილი დემოკრატიული პარტია არ არის და ბ. ბ. მაჩაბელი, აფხაზი, ვეშაპელი და გვაზავა—აი ვინ უნდა შეკრას ბლოკით ქართველი სოციალდემოკრატია.

ომი და ზავი

დეპეშები

აღმოსავლეთის ფრონტი.

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. დეკემბრისთვის 23. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** სროლაა, განსაკუთრებით კი დვინის მიმართულებით, სვენტენის ტბის დასავლეთ რაიონში, სადაც მტერი ალაგ-ალაგ ძლიერ საარტილერიო ცეცხლს ანთებდა.

დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები. სროლა და მზვერავთა მოქმედება.

კავკასიის ფრონტი. შავ-ზღვის პირის მიმართულებით, კალკიტ-ჩიფტლიკის რაიონში ჩვენებმა ოსმალებს პირველ წყების თხრილები დაატოვებინეს. ალაგ-ალაგ მათ მესამე წყების თხრილებსაც მიაღწიეს. ხელთ ვიგდეთ მრავალი იარაღი და სამხედრო მასალა. კემხის მიმართულებით, ერძღაზანის სამხრეთ-დასავლეთით, ოსმალთა პატარა ნაწილებმა იერიშები სცადეს მაგრამ მოვიგერიეთ. პალმიურის მიმართულებით ჩვენმა მზვერავებმა ქურთების რაზმები გაფანტეს.

ბალტიის ზღვა. უცვლელადაა.

სამხედრო საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მთავარი ბანაკი. დეკემბ. 22. სამხედრო-საზოგადოებრივ ორგანიზაციების შესამცირებლად შემდგარმა თათბირმა დაადგინა, რომ ორგანიზაციები მთავარმა ბანაკმა უნდა შეამციროს და არა საფრონტო ორგანოებმა. თათბირმა სახელმწიფო ეკონომიისათვის საჭიროდ დაინახა სამხედრო-საზოგადოებრივ ორგანიზაციების შემცირება და სთხოვა ამ დაწესებულებათა წარმომადგენლებს ამისათვის შესაფერი მოხსენებები გააკეთონ გიორგობისთვის 1-მდე.

დასავლეთის ფრონტი.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. დეკემბრისთვის 20. საღამოს ოფიციალი. მალ-მეზონში გამარჯვება ჩვენ გვხვდა, ამიტომ მტერმა შმენ-დე-დამის გზა დასტოვა. იგი ამ უკანასკნელ 6 თვეს მტკიცედ იცავდა ხსენებულ გზას. ჩვენები შმენ-დე-დამის ჩრდილოეთით კალთებისკენ დაეშვნენ და გერმანელების ასპარეზები დაიჭირეს. ჩვენს ხელშია სოფელი კურტეკონი, სერნი-ან-ლანუა, ბოლი და შევრე. ჩვენმა პატრულებმა მდინარე ელეტტამდე მიაღწიეს. იგი ჩრეპანლენსა და სერნის შუა მიმდინარეობს.

პარიზი. დეკემბრისთვის 22. დღის ოფიციალი. შმენ-დე-დამის ჩრდილოეთით ცინონ-ვოკლერის რაიონში დიდი საარტილერიო ბრძოლაა. რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით მტრის უეცრად ხელჩართული იერიში მოვიგერიეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ლეშომის ტყის ჩრდილოეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დაველუს რაიონში მტერს ხელჩართული იერიშები მიაქვს.

ინგლისის ბანაკის ცნობა

ლონდონი. დეკ. 22. ოფიციალი. პაშენდალეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. გუზოკურის აღმოსავლეთით მტერმა ხელით სასროლ ყუმბარებით მოიტანა იერიში, იერიში მოვიგერიეთ. იპრის ჩრდილოეთით საარტილერიო მოქმედებაა.

ლონდონი. დეკემბრისთვის 22. ოფიციალი. გავრეკურის აღმოსავლეთით ირლანდიის მსროლელებმა მტერზე მარჯვე იერიში მიიტანეს. მონში-ლე-პრეს რაიონში მტერი მოვიგერიეთ. ფასანდრიაში ბროზუნდეს აღმოსავლეთით და პოლკა პელლეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსაგერიებელი პუნქტები დავიჭირეთ.

ესპანეთის ახალი კაბინეთი

მადრიდი. დეკ. 21. შესდგა მინისტრთა ახალი კაბინეთი. მინისტრს პრეზიდენტია გარსია პრიეტო, შინაგან საქმეთა—ბალმოდი, საგარეო—ალვარადო, ფინანსთა—ვენტოზა, სამხედრო—სიერვა, საზღვაო ხილკო, სწავლა-განათლების—როდეს, საზოგადო მოღვაწეობის—ალკალა საზამორა, იუსტიციის—ფერნანდეს პრიდა.

იტალიის ფრონტის გარღვევა

ბანაკის ცნობა

რომი. დეკემბრისთვის 23. ოფიციალი. ტრელიმენტოს ხაზით, მდინარის ორსავ მხარეზე საარტილერიო ბრძოლაა. მარცხენა ფრთაზე მტრის გაძლიერებულ მოქმედებას ცეცხლით და კონტრ-იერიშებით უპასუხებდით. დაკა-ჯუმელლას ღელეში მტერმა ჩვენს მოწინავე ასპარეზებზე მოიტანა იერიში. ცხარე ბრძოლით მოვიგერიეთ. ჩვენ ტყვეები ვიგდეთ ხელში.

მფრინავთა მოქმედება. ტალიამენტოს მარცხენა მხარეზე დეკემბრისთვის 20-ს ღამით ჩვენმა მფრინავებმა რამდენიმე სამხედრო საწყობი დაანგრიეს. ოდორეცოსა და კოდროინოსთან გუშინ ჩვენმა მფრინავებმა გერმანელების ორი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

პენლევეს დეპეშა ორლანდოს

პარიზი. დეკ. 20. პენლევემ იტალიის ახალ სამინისტროს თავმჯდომარე ორლანდოს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „მოკავშირეთა გარდაწყვეტილებას ვერაფერი ვერ შეარყევს. იტალიელთა სისხლი კვლავ შეერევა ფრანგების სისხლს თავიანთ უმშვენიერესის და უკეთილშობილესის დასაცავად. მოკავშირენი იტალიას დაეხმარებიან გერმანიის დესპოტიზმის თავისუფალ ერთა ღონისძიებანი შემუსრონ.

იარაღით დახმარება იტალიას

ნიუ-იორკი. დეკ. 20. შეერთებულ შტატების მთავრობა სცდილობს დახმარება გაუწიოს იტალიას ავსტრო-გერმანიის მოგერიებაში. ნებადართულია ყველა საჭირო მასალების გატანა იტალიაში. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს სურსათს.

რუსეთის რესპუბლიკა

დეპეშები

მშობიარობის დაზღვევა.

პეტროგრადი. დეკ. 21. დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა მშობიარობის დაზღვევის რეფორმის პროექტი, რომელიც შესამჩნევად აფართოვებს მშობიარე მუშა ქალთა დაზღვევ სავადმყოფო კასების მოქმედებას.

სრულიად ყაზახთა ყრილობა.

კიევი. დეკ. 22. სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა რესპუბლიკის საბჭოს წევრი აგეევი, რომელმაც თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: „ჩვენს პოლიტიკურს პროგრამას 2 საფუძველზე ვაშენებთ: პირველი—სალი, აგრესივობას მოკლებული ანარქიის გავლენის გარეშე მდგარი სახელმწიფოებრივობა და მეორე ყაზახთა ნამდვილი დემოკრატიზმი, როგორც ფრონტზე ისე შიგნით სახელმწიფოში. ყრილობამ სალამი უძღვნა პროფესორ მასარიკს და ინგლისის კონსულს.

ფართლეულობის გატაცება.

მოსკოვი. დეკ. 21. პუშკინოს ახლო ბოროტ-განმზრახველებმა 300,000 მანეთის ფართლეულობა გაიტაცეს.

ებრაელთა თვით დაცვა.

პეტროგრადი. დეკ. 21. რადგანაც ებრაელთა დასარბევად აგიტაციას ეწევიან, პეტროგრადის მხედარ ებრაელებმა თვით დაცვის ორგანიზაცია შეადგინეს.

ანარქია

დამნაშავეთა განთავისუფლება.

აბო. დეკ. 20. ვალის საზოგადოებიდან კარაქის დამტაცებელთა საქმის გამო განაჩენის გამოტანის წინ მეზღვაურთა ბრბო შევარდა სასამართლოს შენობაში, მსაჯულებს რევოლვერებით დაემუქრნენ და დამნაშავენი გაანთავისუფლეს.

საწყობების დარბევა.

კრემენჩუგი. დეკ. 22. შუა ქალაქში დაარბიეს ორი ბაყლის სავაჭრო, ღვინის საწყობი და რამდენიმე სახლი. წესიერების აღდგენის დროს 2 კაცი მოჰკლეს, რამდენიმე დასჭრეს. რამდენიმე [illegible] თავის საწამლავით მოიწამლა, რომელიც სავაჭროების დარბევისას ჩაიგდეს ხელში.

საბჭოთა ყრილობის გარშემო

ვორონეჟის გლეხთა საბჭოს უარი.

ვორონეჟი. დეკ. 20. გლეხთა დეპუტატების საგუბერნიო საბჭომ დაადგინა საბჭოთა ყრილობაში მონაწილეობა არ მიიღოს და სასტიკად გაჰკიცხა პეტროგრადში განზრახული შეიარაღებული გამოსვლა, რომლიდგან იგი დამფუძნებელ კრების უფლებათა უზურპაციისაკენ იყო მიმართული.

დამფუძნებელ კრების სამზადისი

საარჩევნო კამპანიის მსვლელობა

პეტროგრადი. დეკ. 22. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს დღევანდელმა [illegible] საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე შემდეგი ცნობები მოუვიდა:

ბერდიჩევში სოციალისტ-რევოლუციონერები კანდიდატად მესამე სათათბიროს წევრს სელიგრანტს ასახელებენ.

ვენდენში ბოლშევიკებმა კუჩინი, დებუა, ხარაში და ტიმარკანი დაასახელეს.

მოგილევში ყაზახები მოითხოვენ, რომ ფრონტის ყაზახებსაც ჰქონდეთ უფლება ხმის მიცემისა. ბოლშევიკებმა სიიდან სმირნოვი და კრუპსკაია ამოშალეს.

პერმში დღე-დღეზე არჩევნებისათვის პერმის, ვიატკის, უფიმის და ორენბურგის გუბერნიების გლეხთა ყრილობას მოიწვევენ.

პოლტავაში 14 სია დაამტკიცეს.

კოოპერატივებმა სოციალისტ-რევოლუციონერებთან შეჰკრეს კავშირი. პირველად ზარუდნია დასახელებული. ბოლშევიკებმა 20 კანდიდატი დაასახელეს. გუბერნიის მოწყველთა ყრილობა მხარს კადეტებს უჭერს. ასით-ამწყობთა კავშირმა გადასწყვიტა პარტიულ პარტიებს საარჩევნო მოწოდებები არ დაუგზავნონ. ამის გამო მესაკუთრეთა და ვაჭარ-მრეწველთა კავშირმა დეპეშით მიმართა კერენსკის, შრომის მინისტრ გვოზდევს, იუსტიციის—მალიანტოვიჩს და საშინაო საქმეთა მინისტრ ნიკიტინს. დეპეშით ასით-ამწყობების დადგენილებას პროტესტს უცხადებენ, რადგან მათი საქციელი არჩევნების თავისუფლებას არღვევს.

პსკოვში 9 სია გამოცხადდა. სოციალისტ-რევოლუციონერთა სიაში პირველად პოკროვსკია დასახელებული; კადეტების სიაში შინგარევი; მეწვრილმესაკუთრეთა კავშირის სიაში პირველად—როძიანკოა; ბოლშევიკებისაში—კამენევი; უპარტიო საზოგადო დემოკრატთა ჯგუფმა—რუზსკი, ქალთა სწორ-უფლებობის პარტიამ—შიშკინა იწვევენ.

სევასტოპოლში შავ ზღვის ფლოტმა კანდიდატებად სოციალ-რევოლუციონერი მუზაკოვი დაასახელეს. ცენტრო ფლოტმა—ერმოლენი; სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) კანტოროვიჩი. ბოლშევიკებმა ოსტროვსკია, კადეტებმა კოლჩაკი.

ტამბოვის გუბერნიაში 8 სიაა წამოყენებული.

ტულაში 9 სია გამოცხადდა. ტობოლის გუბერნიაში და ჩიტაში 9 სია გამოცხადდა. დამტკიცდა 6.

იაროსლავში 7 სია გამოცხადდა. ბოლშევიკებს კოლონტაი ჰყავთ. სოციალისტ-რევოლუციონერებს—კოლჩაგსკი, კადეტებს კონოვალოვი და შლისელბურგელი მოროზოვი.

ხარბინში 4 სია გამოცხადებული.

რესპუბლიკის საბჭო

დეკემბრისთვის 23 სხდომა

ავქსენტიევის თავმჯდომარეობით კრება იხსნება 12 ს. და 3 წ. თავმჯდომარე აცნობებს კრებას, რომ ომსკის სამხედრო ოლქის 1 ნაწილის გამომძიებელს მისთვის გამოუგზავნია დადგენილების ახალი პირი საბჭოს წევრის პრაპორშჩიკ ვედენიაპინის სასამართლოში მიცემისა და დაპატიმრების შესახებ. დადგენილების ახალი პირი პირად შემადგენლობის კომისიას გადაეცა.

საგარეო პოლიტიკა

გრძელდება კამათი საგარეო პოლიტიკაზე.

კარელინის სიტყვა

მემარცხენე ესერი კარელინი აღნიშნავს, რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა ისეთია, რომ თუ ომი არ შეწყვიტეს, მდგომარეობა უფრო გამწვავდება. ორატორის აზრით საჭიროა დღეს კოალიციის იდეა უარყოფილ იქნეს, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, რომ რევოლუციამ ომი შესწყვიტოს (ტაში მარცხნივ).

იანუშკევიჩის სიტყვა

ლიტველთა ეროვნულ ორგანიზაციების წარმომადგენელი იანუშკევიჩი ამბობს, თუ ომი არ შეწყდა, ისე შეუძლებელია ცხოვრებაში გატარდეს ლოზუნგი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისა, ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის დაცვით. სკობელევის ნაკაზმა ეს საკითხი პირდაპირ დასვა, სამწუხაროდ საგარეო მინისტრმა განაცხადა, რომ ნაკაზი რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. აქ წინააღმდეგობაა. მთავრობამ ლოზუნგი მიიღო და მის განხორციელებას კი არა ჰფიქრობს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ერები თავისი ნებით შე-

დენ საკუთარი გზის მონახვას. ეს რუსეთ სთვის პირდაპირ სასარგებლოა, რადგანაც ცენტრალიზაციის ძალით მეთოდით ოგ ით ს მართვა დღეს შეუძლებელი. რუსეთის ყოველ ერს ისეთ გზის თვითგამორკვევა, როგორც რუსის დემოკრატიას. ასეთივე თანხმობაა მოკავშირეთა დემოკრატიისა და ნაკახს შორის. რაც შეეხება მილიუკოვს ჟევხს, ვითომ ერები გერმანელთა ზედგავლენით მოქმედებდნენ, ეს მხოლოდ რევოლუციისთვის მავნე ზღაპარს ჰგავს. მართალია ლიტვის ნაწილი დაედგ ნა გერმანელის კავშირში შეგიდეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სეიმი არ გამოხატავს სავსებით ლიტვის სურვილს და ნამდვილად ლიტვის დემოკრატია თავის ბედს რევოლუციონურ რუსეთის ბედს უკავშირებს. (ტაში მარცხნივ).

ვრუბლევსკის სიტყვა

სახელმწიფოებრივ მიმართულების სოციალისტ-რევოლუციონერი ვრუბლევსკი მემარჯვენეებს ჰკიცხავს დემოკრატიის წინაღმდეგ გამოსვლებისთვის და ამბობს, თუმცა დიდის ტანჯვით, მაგრამ დემოკრატია მაინც აწარმოებს შემოქმედების მუშაობას. ორატორს ჰკვირს, თუ დემოკრატია ახლომდე კრებაზე კეთილდღეობას ჰფიქრობს, რისთვისა ჰხარჯავს შორეულ პანამის არხის ნეიტრალიზაციაზე (თანაგრძნობა მარცხნიდან და ცენტრში). ვრუბლევსკი დემოკრატიას აფრთხილებს მოკავშირეთა წინაღმდეგ ნუ გაილაშქრებო. შემდეგ მას საჭიროდ მიაჩნია შავი ზღვის სრუტეების ნეიტრალიზაცია იმ პირობით კი, რომ სამხედრო გემებს ეკრძალოთ მათში გასვლა-გამოსვლა. ორატორს საჭიროდ მიაჩნია, პარიზის კონფერენციაზე მხოლოდ რესპუბლიკის საბჭოს წარმომადგენელი გაიგზავნოს.

პეშეხონოვის სიტყვა

შრომის სახალხო - სოციალისტურ პარტიის სახელით პეშეხონოვი ამბობს, რომ ნაკაზმა, როგორც ცხოვრების მომავალში მოწყობის პროექტმა, კამათი არ უნდა გამოიწვიოს. ჯერ კიდევ საბჭოს დაარსებამდე ცენზიან და დემოკრატიულ ელემენტებს შორის პირობა დაიდო საგარეო პოლიტიკის შესახებ. დემოკრატიამ განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკა არ უნდა იყოს შეძენისაკენ მიმართული. ეს დებულება მთავრობის დეკლარაციებში უკვე იყო აღნიშნული. მაშასადამე, საერთო მიმართულება საგარეო პოლიტიკისა ყოფილა. ეხლა მოკავშირეთ წინაღმდეგ უნდა მივცეთ შემუშავებ ზავის კონკრეტიული პირობები და თუ გერმანელები მიიღებენ მათ, შევუდგეთ საზავო მოლაპარაკებას. მოსალოდნელია ისიც, რომ რადგანაც რუსეთი ერთობ სუსტია, გერმანელებმა არ მიიღონ პირობები, მაშინ რუსეთმა უნდა მოიკრიბოს უკანასკნელი ძალა და შეებრძოლოს მტერს; იმედი მაქვს, რომ რუსეთს შესწევს ძალა, თავისი სახელი, ღირსება და ტერიტორიის ხელშეუხებლობა ღირსეულად დაიცვას (ტაში მარჯვნივ და მარცხნივ).

ეროვნული საკითხი

ბელორუსეთის ავტონომია

მინსკი. ღვინ. 23 ბელორუსელ ჯარისკაცთა ყრილობა დასრულდა. მიღებულ რეზოლუციით მოითხოვენ ბელორუსეთის ლაშქრის დაარსებას, რომელიც მათ ცენტრალ რადაში წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს. სახელმწიფოს მოწყობის შესახებ მიღებულ რეზოლუციით ყრილობა ბელორუსეთის ავტონომიას და რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკას მოითხოვს.

პოლონეთის მეფე

კოპენჰაგენი. ღვინ. 22. ვენის გაზეთებმა ცნობა გაავრცელეს: პოლონეთის მეფედ მეფე კარლოსს გამოაცხადებენო. ამის შესახებ „ფოსიშე ცაიტუნგ"-ი აცხადებს, რომ თუმცა ეს ხმები არაა დადასტურებული, მაგრამ პოლიტიკურ ლტოლვილებს კი შეეფერებაო. გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთ ლტოლვილებას კი დიდი გამწვავება მოჰყვება. გაზეთის აზრით პოლონეთის საკითხი მხოლოდ ზავის შემდეგ გადაიწყდება, როდესაც საკითხს დაინტერესებული სახელმწიფოები შეუდგებიან გადაწყვეტას.

ფინლიანდია და რუსეთი

შეთანხმება

ჰელსინგფორსი. ღვინ. 22. ეხლამდე ფინლიანდიის ბანკი რუსულ ქაღალდის ფულებს არ იღებდა. ამ ნიადაგზე რუსეთისა და ფინლიანდიის სენატის შორის აღმოცენებული უთანხმოება მოისპო. ფინლიანდიის დაწესებულებებში დღეიდან დაუბრკოლებლივ მიიღებენ რუსულ ქაღალდის ფულებს.

გაზეთ „კარიალა"-ს დახურვა

ჰელსინგფორსი. ღვინ. 22. ვიბორგის ყაზახთა პოლკის დადგენილებით შეაჩერეს ფინური გაზეთი „კარიალა". ფინლიანდიის ჟურნალისტთა ცენტრალ კავშირმა სთხოვა გენერალ-გუბერნატორს, გაეუქმებინა ეს დადგენილება მოხსენებით. გენერალ-გუბერნატორმა აღუთქვა, ზომებს მივიღებო.

ქრონიკა

თბილისი

◆ **პურის წიგნაკები.** ღვინობისთვის 27-დან მცხოვრებლებმა უნდა შეიძინონ პურის ახალი წიგნაკები. გიორგობისთვის 5-დან ძველი წიგნაკები აღარ გამოდგება. წიგნაკების გამოსატანად საჭიროა შაქრის ბარათების წარდგენა.

◆ **სანოვაგის შეძენა.** საქალაქო სასურსათო კომიტეტმა დაიბარა ჩრდილო კავკასიაში 390 ვაგონი კარტოფილი, 20 ვაგ. ხახვი, 10 ვაგ. მუხუდო, 5 ვაგ. მაკარონი და 50 ვაგონი საქონლის საკვები ფუჩეჩი. ვინაიდან ამ საქონლის გადმოტანა რკინის გზით შეუძლებელია, კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს საქონელი წამოიღოს ნოვოროსიისკიდან ფოთამდე ზღვით.

◆ **ბაქოდან** რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ქართველთა ცხენოსანი პოლკი წუხარებით კითხულობს ქუთაისში მომხდარ უწესოებების ამბებს. იმ დროს, როდესაც ჩვენ სისხლით და დიდ გულმკერდით ვიცავთ სამშობლოს პატივსა და სახელს, მოვითხოვთ, რომ ჩვენი ოჯახები და ცოლშვილი ღირსეულად დაცული იქმნენ ნაძირალთა და ხულიგანთა თავდასხმისაგან. ქართველთა ცხენოსან პოლკის უფროსი პოდპოლკოვნიკი თავადი ავალოვი".

◆ **მილიციის საქმე.** ძველი მილიცია გადაყენებულ იქნება. მას მაგიერად შესდგება ახალი მილიცია. ქვეითი 150 კაცისგან და ცხენოსანი 50 კაცისაგან. მილიციონერების კანდიდატებს წარადგენს ყველა პოლიტიკური პარტიები თავისი პასუხის მგებლობით.

◆ **თეატრი და ხელოვნება.** ქართულ კლუბში ორშაბათს 30 ოქტომბერს ქართ. მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება „ომი" 4 მოქ. არციბაშევისა.

◆ **მატარებელზე თავდასხმა.** იმიერ კავკასიის რკინის გზაზე ს. ს. ყარაბულახისა და პრუვას შუა სასანიტარო მატარებელს ბოროტ-განზრახვულებმა სროლა აუტეხეს. როგორც ეტყობა, დამსხმელებს მატარებელი სამგზავრო ეგონათ, მისი შეჩერება სცადეს, მაგრამ მემანქანემ მატარებელი ძალიან გააქანა. ბოროტ-განზრახვულები მწყობრად ისროდნენ თოფებს. მოკლულია 2, დაჭრილია 6 ჯარის კაცი. ვაგონები და ორთქლმავლის ნაწილები დაზიანებულია ტყვიებით.

◆ **მატარებლების დაჯახება.** იმიერ კავკასიის რკინის გზაზე სადგურ კონკოვოსთან საფოსტო მატარებელი № 3 სამგზავრო მატარებელს № 5 დაეჯახა. მოკლულია 25, მძიმედ დაჭრილი 70.

◆ **მატყლის გატანის აკრძალვა.** ვინაიდან ადგილობრივი მატყლი საკმარისიც კი არ არის აქაურ მცხოვრებთა და ჯარებისთვის, საქართველოდან და იმიერ კავკასიის სხვა ადგილებიდან მატყლის გატანა აიკრძალა. მატყლის გატანა შეიძლება მხოლოდ საოლქო სასურსათო კომიტეტის ნებართვით.

◆ **ქართული გიმნაზია ჯავახეთში.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას დეპეშით ატყობინებს ჯავახეთის ახალქალაქის საზოგადო მოღვაწე ბ-ნი ფალავანდიშვილი (ქართველი მაჰმადიანი): ახალქალაქში ვაარსებთ ქართულ გიმნაზიას. კერძო შემოწირულებანი საკმარისი არ არის. ს. თოკის სკოლისათვის საზოგადოების მიერ წლიურად გადადებული 4,080 მან. 10.000 მანეთამდე აიყვანეთ წლიურად და ეს ფული გიმნაზიის სასარგებლოდ გადაეცით.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს, სადამოს, სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „იმედის" დაღუპვა.

◆ **დაკარგული ჯარისკაცები.** დომენტი სოლომონის ძე ჟუჟუნაძე (რაჭის საზოგადოებიდან), სათადარიგო მე-118 ბატალიონის, მე-11 როტის ჯარისკაცი და ზოსიმე გრიგორის ძე ჭიქაშვილი, სამოსწავლო ბრიგადის მე-118 ბატალიონის ჯარისკაცი აგერ წელიწადია დაკარგულად ითვლებიან, მათს შესახებ არა ისმის რა. პატრონები სთხოვენ, თუ ვინმემ რაიმე იცის მათს შესახებ, ცნობა მიაწოდონ შემდეგი მისამართით: თბილისი ქართულ პოლკის მხედარს იასონ მიქიაშვილს.

◆ **ახალი კოოპერატივი** ღვინობისთვის 22 ს ქალთა პირველ გიმნაზიაში მოხდა დამფუძნებელი კრება მე-4 უბნის კოოპერატივის წევრთა. წესდების პროექტი მოიწონა კრებამ და გამგეობა აირჩია.

◆ **დეზერტირის მოკვლა.** ღვინობისთვის 23-ს ავლაბარში, „ბაშმიჩის" შესახვევში ვიღაც უცნობმა კაცმა, ჯარის კაცის ტანისამოსში გამოწყობილმა გზაში მიმავალ ქალს ხელიდან ვერცხლის რიდიკული გამოსტაცა და გაიქცა. ქალის ყვირილზე მტაცებელს გამოუდგნენ ჯარის კაცები, დაეწივნენ და დაიჭირეს. ჯარის კაცებმა ცემა დაუწყეს და მოკვლა დაუპირეს. ამ დროს იქ გაჩნდა მილიციონერი ისკანდარ-ოღლი და მტაცებლის გადარჩენა მოიწადინა, მაგრამ ჯარის კაცებმა გადაჭრით მოითხოვეს მისი მოკვლა. მაშინ მილიციონერმა ამოიღო რევოლვერი და იქვე გაათავა მტაცებელი, რომელიც დეზერტირი აღმოჩნდა.

◆ **საჩივრები რეკვიზიციის გამო.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობას აურებელი საჩივრები მისდის იმის გამო, რომ რაიონის სასურსათო კომიტეტები და მილიციონერები რეკვიზიციის წესით სანოვაგეს და სხვა საქონელსართმევენ მგზავრებს და მცხოვრებთ. საგუბერნიო სასურსათო გამგეობა განმეორებით აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ რეკვიზიციის უფლება აქვს მხოლოდ საგუბერნიო სასურსათო გამგეობას და სხვების მოქმედება ამ ნიადაგზე უკანონოაო.

◆ **შეწირულება.** ქართულ საქველმ. საზოგადოების მთავარ გამგეობას ალ. ჯაბადარმა გადასცა 3.509 მან 61 კ. რევოლუციის დროს დაზარალებულ გურულებისა და ქართლელების სასარგებლოდ შეგროვილი, აგრეთვე 500 მანეთი, წიგნების გამომცემ ქართველთა ამხანაგობის წევრთა შეწირულება, სულ 4,009 მან. 61 კაპ.

„საქართველოს" კანტორისაგან.

გაზ. „საქართველოს" კანტორა ამით აუწყებს პატივცემულ ხელის მომწერთ, რომ კვირის მორიგი მე-233 ნომერი დაიგვიანდა სტამბაში ელექტრონის ენერგიის შეწყვეტისა გამო. კანტორა ამ დღეებში დაუგზავნის შეწყვეტილს ნომრებს.

ჭიათურა.

◆ შაბათს, 28 ოქტომბერს, ჭიათურის ქალთა საზოგადოება მართავს სალამოს პროფესიონალური სასწავლებლის დასაარსებლად.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის დატუსაღება

ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს განკარგულებით დატუსაღებულ იქმნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ნეკრიტინი და სასამართლოს წევრები ჩიჟოვი, ბროკოვსკი, ბატალინი და ბელოუსოვი. ნეკრიტინი რევოლუციის პირველსავე დღეებში გაძევებულ იქმნა ქუთაისიდან, როგორც რევოლუციისათვის არა სასურველი პირი, ხოლო ეხლა თავის ნებით ისევ დაბრუნებულა და ცდილობდა, რომ კვლავ ყოფილიყო თავმჯდომარედ არჩეული; ამ მიზნისათვის 19 ოქტომბერს განზრახული ყოფილა სასამართლოს მოსამსახურეთა კრება. მუშა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს, გაუგია რა ეს კრება, აუკრძალავს და ნეკრიტინი მის დამსწრე ორ ზემოხსენებულ პირთან ერთად დაუტუსაღებია. დატუსაღებულნი 22 ოქტომბერს თფილისში ჩამოიყვანეს.

აფიცრის მოკვლა

ღვინობისთვის 23-ს, კახეთის მოედანზე ტრამვაის სადგურთან, საცა ჩამწკრივებული ხალხი ვაგონს უცდიდა, ჯარისკაცმა გუკაჩენკომ რიგი დაარღვია და ვაგონში მეორე მხრიდან შეჯდა. ხალხმა მოითხოვა, რომ ჯარის კაცი ვაგონიდან ჩამოეყვანათ. ხალხს მიემხრო იქ მყოფი შტაბს კაპიტანი ხოზიევი, ოსეთის მე-2-ე ბატალიონში მოსამსახურე, რომელმაც ჯარისკაცს უბრძანა ტრამვაიდან ჩასვლა. ჯარის კაცი აფიცრის ბრძანებას არ დაემორჩილა და გინება დაუწყო. ხოზიევმა რევოლვერი ამოიღო და გუკაჩენკო დაჭრა. რევოლვერის ხმაზე ჯარისკაცები მოგროვდნენ და ხოზიევს უმოწყალოდ დაუწყეს ცემა. ხოზიევი ცემისაგან გარდაიცვალა. გაბრაზებულმა ჯარისკაცებმა „ტაჩკაზე" დაადგეს გვამი და ავლაბრის ხიდიდან მტკვარში გადაისროლეს. გაბრაზებული ჯარისკაცები ქუჩაში პროტესტს აცხადებდნენ ტრამვაის ტარიფის გადიდების გამო და ტარიფის შემცირებას მოითხოვდნენ.

სომხების თავდაცვა

„დაშნაკ ცუტუნ"-ის პარტიამ სომხების თავდაცვისათვის მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნა, რომ, თუ სომხეთში ანარქია კიდევ გაგრძელდა და ქურთებმა სომხებზე თავდასხმა არ შესწყვიტეს, ფრონტი შეირყევა, შეუძლებელი გახდება დაცვა არამც თუ შემოერთებულ ოლქებისა, არამედ თვით ამიერ კავკასიისაც, რომლის დაკარგვა, ყოველ ეჭვს გარეშე, სახელმწიფოსთვის ნამდვილი კატასტროფა იქნება; ამიერ კავკასიაში ოსმალეთის ჯარის შემოსევით ყველა მცხოვრებნი და კერძოდ სომხობა წარმოუდგენლად დაზარალდება, ფრონტის განსამტკიცებლად რეზოლუცია მოითხოვს, ჩქარად კავკასიის ფრონტზე ადგილობრივ მკვიდრთაგან შემდგარი სამხედრო ნაწილები გამოიყვანონ. უნდა ენერგიული ზომები იქმნას მიღებული ქურთების თარეშის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან იგი ფრონტს ზურგთს უმხედებს. ამ საქმეში მთავრობას დახმარება უნდა გაუწიოს სახალხო თავდაცვამ. ამასთანავე უნდა შესდგეს სახალხო მილიცია ამავე მიზნით.

სომხეთის ტერიტორია „დაშნაკცუტიუნ"-ის პროექტით

„დაშნაკცუტიუნ"-ის პროექტით სომხებით უმრავლესობით დასახლებულ ადგილებისაგან უნდა შესდგეს ერთი მთლიანი საერობო გუბერნია, რომელშიაც შევა: 1) ერევნის გუბერნია, 2) განჯის გუბერნიის სამხრეთ დასავლეთის ნაწილი, სახელდობრ: ყაზახისა და განჯის მაზრების ნაწილები, ჯევანშირისა და შუშის დასავლეთის ნაწილები, ჯებრაილის მაზრის ჩრდილოეთის ნაწილი და ზანგეზურის მაზრა რამდენიმე თათრულ სასოფლო საზოგადოებათა გამოკლებით, რომელიც ძველი გუბერნიის თათრულ ნაწილს შეუერთდეს, 3) თბილისის გუბერნიის ახალ ქალაქის მაზრა, რომელსაც შეუერთდება ნალკის ის სოფლები, სადაც უმრავლესობას სომხობა შეადგენს და გორის მაზრის 2 სოფელი, კზილ-კილისა და მოლითი, 4 ბორჩალოს მაზრიდან—ლორისა და ალავერდის საპოლიციო ნაწილები ბორჩალოს ის ნაწილი, რომელიც სომხებით უმრავლესობითაა დასახლებული, 5) ყარსის ოლქის ყარსისა და აღზევენის მაზრები.

ოლთისისა და არდაგანის ოლქების, ახალციხის მაზრის და წალკის ბერძნული ნაწილის საკითხი მხოლოდ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა გადასწყვიტონ.

მაჰმადიანთა პოლკების შედგენა

ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრმა მაჰმადიანთა წარმომადგენელმა ჯაფაროვმა სამხედრო მინისტრს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ძველი რეჟიმის დროს მაჰმადიანებს შეძლება არა გვქონდა არსებობისათვის საერთო ბრძოლაში ჩვენი წვლილი შეგვეტანა სამშობლოს სამსხვერპლოში. დღეს, როდესაც თავისუფალ რუსეთის შვილები გავხდით, ჩვენ, მაჰმადიანებს, გვსურს ვისარგებლოთ თავისუფალ ქვეყნის მოქალაქის უფლებით და ქვეითა ბრიგადისა, საარტილერიო დივიზიონის და ცხენოსანთა მეორე პოლკის შედგენით მონაწილეობა მივიღოთ სამშობლოს საერთო დაცვაში. ამისათვის მზად ვართ შეძლების და გვარად ნივთიერი წვლილიც გავიღოთ. გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი პრინციპიალური თანხმობა. თქვენი უარი დიდ წყენას გამოიწვევდა მაჰმადიანთა შორის და აფიქრებინებს მათ, რომ მაშინ, როდესაც ყველა ერი ადგენს თავის ჯარს, მას ისევ სთვლიან გერებად, როგორც ძველი რეჟიმის დროს".

ერთსა და იმავე დროს სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა სამხედრო-კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ალი ასადულაევმა ბაქოს მაჰმადიანებს დეპეშით აცნობა, რომ მასთან იყო დელეგაცია, რომელსაც უთხოვია შუამდგომლობა აღძრას მაჰმადიანთა სამხედრო ეროვნულ ერთეულების შექმნის შესახებ. ალი ასადულაევი შემდეგის მოსაზრებით უჭერს მხარს ამ შუამდგომლობას: 1) ამიერ კავკასიის 4 მილიონ მაჰმადიანთაგან, რომელნიც გასაწვევები არ არიან ჯარში მხოლოდ ერთი პოლკია შედგენილი მაშინ, როდესაც ამიერ კავკასიის მთიელთაგან 4 პოლკი შეადგინეს უკვე; 2) ჯარში გასაწვევ $1\frac{3}{4}$ მილიონ ქართველთაგან, გარდა ევროპიულ ნაწილების შევსებისა, უკვე შემდგარია: 9 ბატალიონი, 4 ესკადრონი და 2 ზარბაზანი; $1\frac{1}{2}$ მილიონ სომხებისაგან—12 ბატალიონი; 8 ზარბაზანი, 160 ათასი ოსებისაგან —2 პოლკი და ბატარეა. ამიტომ სამართლიანად ვსთვლი, დაცული იყოს ერთგვარი პროპორციონალობა ერის რაოდენობისა და გაყვანილ მებრძოლთა შორის. 3) მაჰმადიანობა იმდენად თანაუგრძნობს ეროვნულ პოლკებს შედგენას, რომ ადვილი შესაძლებელია ხაზინას ამისთვის ახალი ხარჯების გაწევა აღარც კი მოუხდეს, 4) მთიელთა დივიზიის კორპუსად გადაკეთებასთან ერთად ოსების ქვეითა ბრიგადა დაშლეს, ე. ი. კორპუსს არა აქვს ქვეითა ჯარის ნაწილი, რომელიც ძვირად საჭიროა ცხენოსან ჯარის დასახმარებლად.

ალი ასადულაევს ზემოხსენებულ საგანზე აქ მოყვანილ მოსაზრებათა თანდართვით რაპორტი მიურთმევია კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდლისთვის. ეს რაპორტი გაეგზავნა აგრეთვე სამხედრო მინისტრსა და მთავარ შტაბს.

ყაზახთა და მთიელთა კავშირი

კავკაზში ღვინობისთვის 21 დასრულდა ყაზახთა ჯარისა და კავკასიის მთიელთა წარმომადგენლების კონფერენცია. კონფერენციაზე ხელი მოაწერეს „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის: ყაზახთა ჯარის, კავკასიის მთიელთა და ტრამალის თავისუფალ ერთა" ხელშეკრულებაზე. კავშირი მიზნად ისახავს რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის დამყარებას, რომ კავშირის წევრთ ცალ-ცალკე შტატების უფლება ჰქონდეთ. კავშირი მიილტვის მტკიცე მთავრობის შესაქმნელად, ცენტრალ სახელმწიფო მთავრობის დასახმარებლად გარეშე მტერთან, ანარქიასთან და კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად. კავშირის ყოველ წევრს უფლება აქვს თავის შინაურ ცხოვრებაში სრული დამოუკიდებლობა გამოიჩინოს. უფლება აქვს თავისუფალ ხელშეკრულებაზე ვისთანაც კი მოისურვებს, ხოლო კავშირის მიზნებს კი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მისი სხვასთან შეთანხმება.

კავშირის სათავეში უდგას შეერთებული მთავრობა, ამასთან კავშირის თვითეული წევრი მთავრობაში ორ-ორ წარმომადგენელს ჰგზავნის. შეერთებული მთავრობა ანხორციელებს კავშირის მიზნებს, კავშირი აქვს როგორც რუსეთის სახელმწიფო მთავრობის ცენტრალ და ადგილობრივ ორგანოებთან, ისე რუსეთის ერთა და ოლქების მართველობის ორგანოებთან. სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს რუსეთის ცენტრალ მთავრობაში თავისი წარმომადგენელი ჰყავს. შეერთებული მთავრობა ქალაქ ეკატერინოდარში იქნება. კავშირში შედიან დონის, ყუბანის, თერგის და ასტრახანის ყაზახთა ჯარი, კალმიკები, დაღესტანის და ზაქათალის ოლქის ყველა ერები, თერგისა და ყუბანის მხრის და სუხუმის ოლქის მთიელები და თერგის მხრის და სტავროპოლის გუბერნიის ტრამალის („სტეპ") ერები.

ზოგიერთი სიტყვა

(დასასრული*)

ჭათი 17—43. რუსულში палка. ჩვენს ლექსიკონებში აფთაზურა (საბ.), колъ, пика (ჩუბინ.).

ადგილობანი 17—46 რუს-ში: на мѣстѣ. დაშთა ადგილობანსვე.

პარით 18—6. მელღერად მათ წინაშე პარით—съ пѣнiемъ и плясками.

ქვეგახედვა 18—9: подозрительно смотрѣть.

შემსჭვალვა 18—11: пригвоздить.

მკვდოვი 18—23: бѣдныя.

განმარცვილი 19—17: обманулъ.

თუახთავი 20—18: новомѣсячіе.

გულდადგმული 20—30: „ნაშობო, ქალო, გულდადგმულო, მღვდარ გაზრდილო". იგივე რუსულში აქვა: „сынъ негодный и непокорный.

განაღამობა 20—33: „განაღამობით ჰპნავს მოკლვა".

ადრჟრე 20—40: „მიისწრაფე ადრჟრე შენსა მიმართ".

როკავან 21—16. რუს-ში чертилъ

ძნელდასავალი 23—14. неприступный

[illegible]

ხოტკევი 24—12. одежда.

საჭმი 25—18. изюмъ—ქიშმიში.

მზედ 25—41. до земли. მზედ თაყვანის-სცა, ე. ი. დაემხონი.

სართუნაგი 26—11—16 რუს-ში изголовье. მისი ფორმები: სასთუმალი, სასთაული, სართუმალი, სასტუმალი (იხ.).

მდამიობი 26—20. რუსულში куропатка(?). იგია ღამურა, მაჩქ თული, მახქატელა (იხ.).

უდღუ 28—7—9: волшебникъ. „მიმისმინე უდღუკებითა შენ თა"... „უდღუკსა მის სიკრუდესა" (28—12).

შეურვება 28—15. тревожитъ.

მინ 29,9. რუსულში: угоденъ мнѣ. მინ, გინ, უმინისს, გინს, უმინესისანი, გინნს, უნნს.

მენიჯავრე 31—4. оруженосецъ.

მეშეუდეკაბარბე 31—4. оруженосецъ.

მეფარე 17—41. оруженосецъ.

საპარსაკი 17,7. оруженосецъ.

მომართუმელი 16—21. оруженосецъ.

თანამზრახველი 2 მეფეთა 15—12. რუს-ში: совѣтникъ.

წინამავალი იქვე 15—1. скороходъ.

სიწრფო 15—11. простота.

განუდგეს 16—7. „განშორდით, განშორდით"—уходи, уходи. განდ, წადი.

მეშდერი 19—35. пѣвецъ.

ხარკის მომხდელი 20—23. сборщикъ податей.

მწიგნობართ მთავარი 20—25. писецъ.

ქედი 22—41. რუსულში тылъ. „ქედნი მტერთანი"=тылъ враговъ.

ტიტანელი 23—13. ანუ ტიტანელი титанъ, გმირი.

მარგულიად 24—23. цѣлостью.

დაიცხრო 24—25. умилостивился.

დაემხო თაყვანის-სცა 3 მეფ. 1—16 поклонилась.

„**ნესტუსა დაბერით**" 1—34. вострубите трубою. ნესტუ=ნესტვი.

ქვისმკვეთელი 2—35. каменотесъ.

სამყარონი 2—35. подпоры.

მწიგნობარი 4—3. писецъ.

მზარძანებელი 4—7. приставникъ.

ტივი плотъ, **ტივეულად** плотами 5—9.

კანკელედი 6—4. рѣшетчатый.

არდაბაგი пристройка.

სივრცე 6—6. ширина.

„**მოტიხრვით განაშორშა**" 6—6. сдѣлалъ уступы.

მხარე 6—8. сторона.

სართული 6—8. ярусъ.

განჩრუნა 6—9. общить. **აღარჩუნნა** общилъ 6—10.

მოხედი 6—15—16. потолокъ.

გვერდი 6—15. бокъ.

გამოქანდაკება 6—18. вырѣзать.

მოწერნა ქერობინნი 6—29. вырѣзалъ херувимовъ.

ხოურბლი 6—31. косякъ.

ნაკეცლი 6—31. ხუთ ნაკეცლად пятиугольный.

ქანდაკი 6—32. рѣзьба.

მეკოხნითი 7—27. подошва.

ხორმა 7—28. стѣнка.

მოხლვა 7—29. наугольникъ.

წახნაგი 7—31. подножiе.

მოტახრული 7—41. опояски.

წირთხლი 7—50. блюдо.

სავედრე 7—50. лотки, ე. ი. თაბახი, ბადია შეწონვის სეფების მოსართავად.

მენაკი 10—19—20. ступень.

ბადიში. რუსულში внукъ, внучка. ამ მოკლე და საჭირო სიტყვის ხმარება კი არ არის ჩვენს აწინდელ მწერლობაში და, წარმოიდგინეთ, არც სასკოლო და საკითხავ სახელმძღვანელოებში, თუმცა ხალხში კი აქა-იქ ისევ ბოგინობს ცნების შვილის-შვილის გამოსახატავად.

სატიხარი (№ 646-ში სტიხარი) 3 მეფ. 7,17. რუსულში сѣтка, მაგრამ უნდა ყოფილიყო перегородка, რადგან სატიხარით დარბაზი იყოფება ოთახებად. იგი უდრის ბერძნულს „ტიხოს" კედელი (სიტყვა დამ კეჭვა: კეტილი=კეტილი, რაც ჰკეტავს).

მოწერა. 3 მეფ. 6—29. რუსულში вырѣзать. „მოწერნა ქერობინნი"=вырѣзалъ херувимовъ,—ეს აცხადებს, რომ ჩვენი სიტყვა წერა=წერვა (=ბერძნ. გრაფო) წარმომდგარა ცნებიდამ ჭრა, და რომ ეს იმ დროის ნაშთია, როდესაც ჩვენი წინაპრები ჯერ ისევ სწერდნენ ქვაზე, როდესაც ასოები და მთელი აზროვნება ამოიჭრებოდა სიპ ქვა-კლდეზე.

---

*) იხ. „საქართველო" № 234.

ბავრუკა. იერემ. 2,22: საბა: „ბავრუკი მარილს ჰგავ; ოქრომჭედელნი იხმარებენ ოქროს დასადნობლად“. სლავურშია нитръ, ბერძნულში—ნიტრონ. ბერძნულ დიდ ლექსიკონში განმარტებულია: „ნიტრონ, ალკალი, щелочная соло, селатра“. ბავრუკი იხ. ქილილა—დამანაში, გვ. 382.

კუტალა. ერთი მომსომხურებული ამას აცხადებს სომხურ გდალ-ად (გდალ=კოვზი). მეთუ საფ. გაბრიელ პატარაია სწერს, მე რომ გულანზე ვმუშაობდი, მამა იოანეს ჩემთვის კუტალით ღვინო მოჰქონდაო. აბა კოვზით როგორ მოიტანდა! ბალავარსა და სხვა წიგნებშიაც კუტალაი-ად იგულისხმება პატარა ჭურჭელი ხისა ან თიხისა, რომელიც იხმარება წყლისა ან ღვინის სასმისად. ინგილონი მას უწოდებენ კუჭულად. საბათი კუტალი არის ხის წურწუმა (=ინგ. წუმწუმა, ლულუკიანი, რუსულ „ლეიკას“ მსგავსი ჭურჭელი ხელსაბანად ან ეზო-ყურეს სარწყავ-საპკურებლად). „ქვრქელში“ სადას ჩამოთვლილია: იათუდი, გოზაკი (=ინგ. გოზავრი), სტამნი=სტამანი, (=ბერძ. „სტამან“, სვან. სტამან), კუტალი (=ბერძნ. „კუტალი“), წურწუმი (ინგ. წუმწუმა), წყლისაქნილი, მათარა, თასურა, სინამდვილე ასეა, მომსომხურებულს კი აქაც სომხური გდალი ელანდება!

ნიშანი. ნიშნიანი, ნიშნოვანი, ნიში, ნიშოვანი, გამოსლ. 4.21; დაბად. 30,42; ესაია 18,3 და სხ. აქედგანვე წარმოსდგება ნიშა, მაგ. ნიშა-ხარი. სიტყვა წინაჲ აღმოსავლეთურია, იგი ალბად საქართველოში შემოვიდა იმ ბუნთუტქებიან ერთად, რომელნიც მე-V—IV საუკ. ქრ. წინად დაბინავდნენ ქართველთ ქალაქებში: სარკინეთს, უფლისციხეს, ურბნისს და სხვ. აღმოსავლეთურ ენებში ყველგან იხმარება ნიშანი. „ნიშან ყოიდი“ ნიშანი დაასო, დანიშნა. თათრების დროს იგი შევიდა რუსულშიაც: ნ. კარამზინი ამბობს: „ხანების სიგელებს ერქვა ярлыкъ (=ქართ. იერლიყი), ბეჭედს нишанъ, ნეშვან—ბასმა“. მ-ნ ნ. ლიხაჩოვს *) მოჰყავს ყირიმის ხანების მიწერ-მოწერის საბუთები, რომლებშიაც იხმარება ტამღა (=ქართ. დამღა), ნიშან=ნიშე=მიშენ (=ქართ. ნიშანი). მისგანვე „ტრულბა 3 ნიშენ“=ქართ. ნიშანში სროლა. საქმე ასეა, სომხომხურებელი კი „ჯერესს ქვეყანას ქართ. ნიშანი სომხურიდამ მიუწყულა!

ტფილი. 3—16 გამოცხად. ფუძეა ტფ-=თბ: ტფ-ობა=თბ-ობა; სა-ტფ-ური=სა-თბ-ური; თბ-ილა (ინგ.) სახური. შეადარე კიდევ: ტფილი—მეგრ. ტიბუ—სვან. ტებდი (=თბ-ილი)—ლათინ. ტეპიდუს.—რუს. ტეპლ.; კვლავ: ლათ. ტეპეო=ტფობა, ტეპესკო—გაცფობა, ტეპორ—სიტფო, სიტფილო. ტფილისს ინგილოები უწოდებენ თიფლის, თათრები—ტფილის, რუსები—ტიფლის, ძველ ბერძნები—ტიფილისიონ. მაშასადამე, თავდაპირველად მართლწერა სიტყვისა „ტფილი“ იქნებოდა ტიფილი და მისგან ტიფილისი=ტიფილისი. ეს ცხადად ჩანს მეგრულ თიტიბუ, სვანურით ტებ დი. სხა ხმოვანთა შორის ვერ გაუძლია: ტფილი, ტფილისი; ასრევე, ტიორი=ტბორე, თიი=თბა.

ახული: დაბ. 34,8. ფს. 44,10: „ასულნი მეფეთანი პატივითა შენითა“. ეფერდება: მეგრულს თხური, სვანურს ზურალი (დედაკაცი). ქართული სულ=სული (სულ ხელი=სურნელი), ხოლო ქართ. თ ქართი ა=მეგრ. ო: ამედი=ობედი. ასი=ოში, არი=ორი. თვით ქართულში: მაიტა=მოიტა. ბაეც=ბოეც, ბავშვი=ბოვშვი. რომ სიტყვაში ასული ა თავსართია, ამას ცხადად გვიჩვენებს ადრე, წარმოებულის სიტყვიდამ [illegible].

მ. ჯანაშვილი.

რძე, ყველი და ფქვილი ქვის ლობიოდგან

წადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ გვაძლევენ გამოუმცხვარ და ქატოსიან შერეულ შავ პურსა, მაგრამ რძის უქონლობა ძრიელ ცუდად მოქმედებს ავადმყოფებზედ და განსაკუთრებით ძუძუ-წოვარ ბავშვებზედ. შეძლებულ ადამიანს შეუძლია ჩიტის რძეც იშოვოს, ღარიბმა კი რაჰქნას, როდესაც წყალ-გარეულ თითოი ბოთლის რძისათვის თხოულობენ რვა-ცხრა აბაზს? აი გამოსაყვანად ამ უკიდურეს მდგომარეობისაგან საჭიროა პატივცემულ მკითხველებმა მისცენ ყურადღება ქვის ლობიოს, რომლისაგან კეთდება რძე, ყველი და ფქვილი.

მრავალ გვარ ქვის ლობიოში უმეტესი პატივი აქვს ყვითელ ან თეთრ ქვის ლობიოს, რომლითაც სარგებლობენ არა თუ აღმოსავლეთის მხარეში, როგორც ჩინეთში და იაპონიაში, არამედ სამხრეთ რუსეთში და დასავლეთ საქართველოში. განსაკუთრებით იმერეთში. ეხლა გამოკვლეულია, რომ ჩინეთში ქრისტეს დაბადებამდინ პირველად გამოიგონა რძის კეთება ქვის ლობიოდგან ჩინეთის ფილოსოფოსმა ავი-ნენ-ტძემ.

რძის კეთება ქვის ლობიოდგან არ თხოულობს არც დიდ ხარჯსა და არც დიდ შრომასა. წინეთ აიღეთ ქვის ლობიოს მარცვლები, სუფთად გასწმინდეთ, შემდგომ დააყენეთ წყალში ერთ დღეს და ღამეს, ბოლოს დაამტვრიეთ ნაწილ-ნაწილებად, ან თითით გასრისეთ, ოღონ დამტვრევის და გასრესის დროს ნუ მოაკლებთ წყალსა და დასასრულ მიიღებთ დათხელებულ ფაფას. ეს ფაფა წინადვე გამოსწურეთ, ან გაატარეთ ფილტრაში და გამოწურული თხლე მოგცემთ მშვენიერ რძესა.

ჩინეთში ქვის ლობიოს მარცვლების დასამტვრევად ხმარობენ საფქველ დოლაბებსა. შემდგომ დათხელებულ ფაფას ასხმენ ერთსგვარ ტილოს ტომარაში და დაუწყებენ ფრთხილად გაწურვასა. გამოსული ნაწურიდგან გამოდის სასურველი რძე. რადგანაც ამ გვარი შრომა არ აძლევს რძეს ბლომად, ამისათვის კულტურულ მხარეებში, როგორც მაგ. საფრანგეთში, ხმარობენ შესაფერ იარაღებსა, რომელნიც აძლევენ მეტ რძესა. საქმე იმაშია, რომ კარგი რძის გამოსაყვანად საჭიროა დიდი სიწმინდე და დიდი სიფაქიზე. ამ ორი მოთხოვნილების მშვენივრად და სინდისიერად ასრულებენ საფრანგეთის ქარხნები.

ქვის ლობიოდგან რძეს აქვს თვისება ძროხის რძისა მაგალითებ: ადუღების დროს რძე მაღლა მიდის და ადვილად ეკვრის ჭურჭლის კიდეებზედ. შემდგომ ადუღებისა რძის ზედასაპირს ეღება მჭიდრო და თხელი ნაღები. ადუღებამდინ ამ გვარ რძეს აქვს გემოვნება ახლად დასრესილ მუხუდოსა ან ცერცვისა.

ჩინეთში დიდი პატივი აქვს ქვის ლობიოს რძეს, რომლითაც სარგებლობენ არა თუ ძუძუ-მწოვარა ბავშვები, არამედ ავადმყოფებიც. ჩინეთის სამეფოში ექიმმა დაუნიშნა ერთს ავადმყოფს ნაცვლად ძროხის რძის ხმარებისა, მაგრამ მის აგებულობამ ვერ აიტანა ამგვარი რძე. როდესაც მან დაიწყო სმა ქვის ლობიოს რძისა, მაშინვე შეატყო გაუმჯობესობა სტომაქის.

ხშირად გასქელებულ რძეს ქვის ლობიოდგან ასხამენ და გამოჰყავთ იმ გვარი ფხვიერი, როგორც ძროხის რძიდგან, მაგრამ ის განსხვავება არის მასში, რომ ქვის ლობიოს რძე უმეტეს მდიდარია ქონით და აზოტის ნივთიერებით, ვიდრე ძროხის რძე. ამგვარი ქვის ლობიოდგან გამოყვანილი რძე დიდად მარგებელია იმ ადამიანებისათვის, ვინც არიან სნეულნი შაქრის ავადმყოფობით. მოხსენებულ რძის ფხვიერი კარგ ღონეს აძლევს იმ პირებს, რომელნიც დროს ატარებენ ხანგრძლივ მოგზაურობაში.

პარიზის მეცნიერების გამოკვლევით ამგვარ შეკაზმულ ფხვიერში აღმოჩნდა შემდეგი ნაწილები: წყლის—7, აზოტის ნივთიერების—46,04, ქონის—27, 60, ნახშირ წყლის—12,36 და მადნეულობის ნაწილების—6.

ქვის ლობიოდგან გამოსულ ყველს ჩინეთში უწოდებენ „ტეოფუ“, იაპონიაში—„ტოფუ“. ამ ყველზედაც ლაპარაკობს ზემოთ მოხსენებული ჩინეთის ფილოსოფოსი—„ვაი-ნენ-ტზე“. ბევრ ევროპელ მეცნიერების თხზულებაში აპოვით ვრცლად აღწერილობას ამ ყველზედ.

ჩინეთში, თითქმის ყოველ სახლობაში აკეთებენ და ხმარობენ ქვის ლობიოდგან გამოსულ ყველსა. ამგვარ ყველს აკეთებენ შემდეგის სახით: პირველად ადუღებენ რძეს რამოდენიმე წამის განმავლობაში; შემდეგ ასხამენ სხვა ჭურჭელში, სადაც სითბო ნაკლებია და ბოლოს ასხამენ ლაგანში გასაგრილებლად. რძე თავიდანვე მუდამ ურევენ, მინამ არ მოიგდებს ქაფს ეს ქაფი უმეტეს გროვდება ზედ ადგილზედ. შემდეგ ეს ქაფი გადმოაქვთ კოვზით. დაშთენილ თხლეს ყველად აქცევენ დამჟრალ კირის საშუალებით, ან გადამწვარ გიფსით და ან გახსნილ მლაშე მიწით.

შეყველიანებულ რძეს ასხამენ ჩარჩოებზედ, რომელიც ქვეშით შემოფენილია თხელი ტილოთი. ამ ტილოდგან გამოდის შრატი. ამის შემდეგ გამოსულ ყველს სდებენ ფიცარზედ და ზედ ადებენ რაიმე მძიმე ტვირთსა. ჩინეთში ამგვარი მოხზადებულ ყველს აქვს ცოტა მწარე გემო და სიწმინდითაც ნაკლებია. პარიზის ქარხნებში კი გამოჰყავთ უკეთეს გემოვნებიანი ყველი და ცუდი სუნიც არა აქვს. რასაკვირველია, ამ ხელობისათვის საფრანგეთში ხმარობენ კულტურულ იარაღებსა.

როდესაც მეცნიერ პირებმა გამოიკვლიეს ამგვარ ყველის ნაწილები, მაშინ ნახეს, რომ ნედლ ყველში აზოტის ნივთიერება შეადგენს 21,2, ქონი—9,53, ნახშირ წყალი—1,102; გამხმარ ყველში აღმოჩნდა უმეტესი ნაწილები ამ ნივთიერებისა, მაგ. აზოტის ნივთიერება—53,60, ქონის—24,30 და ნახშირ წყლის—9,84.

ერთის სიტყვით მცენარიდგან წარმომდგარი ყველი გამოდგა მდიდარი აზოტის ნივთიერებით, ქონით და მადნეულობის ნივთიერებით. ამგვარ ყველს ეხლა უწოდებენ „უძვლო ხორცად“.

ქვის ლობიოსაგან წარმომდგარ ყველს ადამიანი მშვენივრად ინელებს და აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებასა არა ნაკლებ შედარებით სხვა საზრდო ნივთიერებთან.

ტიფუჩვართან ეგ ყველი წარმოადგენს ძრიელ გემოიან საჭმელსა ამ ყველიდანვე აკეთებენ გემრიელ შაზხას. თუ გერმანეთში დიდი ხანიდგან აკეთებენ ძეხვებს მუხუდოდგან, განა არ შეიძლება ამგვარი ძეხვი გააკეთონ ქვის ლობიოს ყველიდგან?

ფქვილის გაკეთება ქვა-ლობიოს მარცვლებიდგან ძრიელვე ადვილია. რასაკვირველია, წინეთ საჭიროა კარგად განიავება და გაწმენდა, შემდეგ უნდა ნაწილებათ დამტვრევა და ნაჭუჭების მოცილება. ამის შემდეგ საჭიროა გაცრა, რომ ნაჭუჭები და სხვა რამეები არ დარჩეს. შემდეგ ფქვავენ და ღებულობენ მშვენიერს ფქვილსა.

იმერეთში თუ ეწეოდრებიან ქვის ლობიოს, ეს მისთვის რომ არც შეძლებულ და არც ღარიბ ოჯახში არა სწმენდენ მის მარცვლებსა როგორც საჭიროა და ურევენ მის ფქვილში სიმინდის ფქვილსაც. დაწმენდა, განიავება და რიგზედ დაწყობა მარცვლებისა—აი რას თხოულობს ქვის ლობიო. ბევრი ზიანი მოდის, როდესაც ფქვილი გამოჰყავთ დაუნაყილ მარცვლების და მათ ნაჭუჭებისაგან. ნაჭუჭები, ტვერი და სხვა რამეები უნდა უეჭველად მოაშოროთ მარცვლებსა, თუ გნებავთ წმინდა ფქვილის მიღება. გარდა ამისა, რადგანაც ქვის ლობიო მდიდარია ქონის ნივთიერებით იმისათვის ძრიელ სძნელია მათი დაფქვა წისქვილზედ. ეს ნივთიერება ამსებს წისქვილის ქვებს განაპირებს და ამისთვის მეწისქვილეებს უძნელდებათ დაფქვა ამგვარ მაგარ მარცვლებისა.

კარგად გაცრილი ქვის ლობიოს ფქვილიდგან, რომელშიც ერია მესამედი ნაწილი ხორბლის ან სიმინდის ფქვილისა, გამოაცხვეს პური, ქადა, გალეტები და როდესაც წარადგინა ბატონ ა. ე. ვუჩინომ ქუთაისის მეურნეობის გამოფენაზედ, მაშინდელმა მინისტრმა ერმოლოვმა ძრიელ მოიწონა, ხოლო გამოფენის კომისიამ მიუსაჯა მოხსენებულ ვუჩინოს შესაფერი ჯილდო.

ქვის ლობიოდგან შეიძლება მიღება წურღულის (крупа). იგივე ბატონმა ვუჩინო დაგვპირდა მასალების მოცემას, თუ როგორ ქვის ლობიოდგან შეიძლება მიღება პურის, შოკოლადის, ყავის და სხვა.

ახალ ქვის ლობიოს თესლებს აქვს შემდეგი ნაწილები: წყალი—10,4, ქონის ნივთიერება, 13,9 ცილა და ალბუმინი—36, უაზოტო სხეულების ნივთიერება 27, ნაცარი, 5,1; გამხმარ თესლს აქვს წყალი—0, ქონის ნივთიერება—21, ცილა და ალბუმინი—40,2, უაზოტო სხეულების ნივთიერება—2,9, ნაცარი 5,7.

როდესაც მოახდინეს გამოკვლევა სხვა და სხვა ნაწილებისა პურში, ქვავში, ქერში, სიმინდში და ქვა-ლობიოში, აღმოჩნდა, რომ ქვის ლობიოს ფქვილი უფრო მდიდარია აზოტით და ქონის ნივთიერებებით, მინამ ხორბალი, რაიცა დამტკიცდა შემდეგის ციფრებით.

	ქვის ლობიოს ფქვილი.	პურის ფქვ.
წყალი . . .	10,72	13,37
აზოტის ნივთიერება და ალბუმინი . .	39,90	10,21
ქონის ნივთიერ.	19,56	0,34
მადნ. მარილი .	14,08	0,48
ნახშირ წყალი	16,32	74,71

ნახშირ წყლით ქვის ლობიოს ფქვილი 3—5 ჯერ ნაკლებია შედარებით პურის ფქვილთან. ვისაც სურს ვრცლად გაეცნოს ქვის ლობიოსთან და მის სარგებლობასთან, ურჩევთ გაეცნოს ლი-ი-ვ-ინგის თხზულებას, სადაცაც თითონ ბატონ ვუჩინოს მოჰყავს მასალები თავის ხელნაწერებში და დაბეჭდილ წიგნაკებში.

რამდენი შრომა და სწავლა გვმართებს, რომ ვისწავლოთ და ვისარგებლოთ ბუნების სიმდიდრითა, მაგრამ ჩვენ დროს ვატარებთ განუწყვეტელ მშვენიერ მეტყველებაში და არავინ არ ჰფიქრობს მეცნიერების შესწავლას და კეთილ-ზნეობას. ნეტა, როდის შევუდგებით სარგებლიან საქმის მუშაობასა?!

ქ. დ. მაჭავარიანი.

კორესპონდენცია

რაჭა-ლეჩხუმიდან

ს. ჭრებალო საზღვარია რაჭა-ლეჩხუმისა. თანდათანობით იზრდება და ახლო მომავალში დაბის სახესაც მიიღებს. მის გარშემო შემოკრებილა საკმაოდ შეძლებ სოფლები. უეჭველია იგი ამ ახლო-მახლო სოფლებისათვის სავაჭრო და სასწავლო ცენტრათ გადაიქცევა. ამისი უტყუარი საბუთები ეხლაცა ჩანს: სასწავლებლები, კოოპერატივი, აფთიაქი სხვა და სხვა სახელოსნოები, კერძო დუქნები და სხვა.

კოოპერატივების გარშემო ლაპარაკს, რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით. ხალხის სიმპატია, ამ ჩარჩების კლანჭებისაგან მხსნელთა მხარეზეა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მუშაკი-სპეციალისტები არ არიან საკმაო და აგიტაცია იმ ნაირადაა, რომელთაც ხალხის შეგნებაში-შეკავშირება, ქვეყნის დადებით მიაჩნიათ, აქა-იქ ნაყოფს იღებს, მაგრამ ხალხს მაინც თავისი მხსნელის დიდი დაუჩნია და ბევრ სოფლებში შეხვდებით უკვე არსებულ კოოპერატივს და ბლომ-ბლომად ისე ჰგრძნობენ მის საჭიროებას, რომ ცალკე სოფლებსაც კი მოუკიდიათ მისი დაარსებისათვის ხელი. სასურველია ხალხის ასეთ სურვილებს გამოუჩნდეს დამხმარე, რათა თავიდანვე არ გადაცდეს დანიშნულებას კოოპერატივის იდეა, რომ ხალხის მტრებმა ეს ხელში არ ჩაიგდონ, რადგანაც რაჭა-ლეჩხუმი ისედაც სულს ჰღაფავს დღეს ყოველივე საჭიროების შეძენაში და სპეკულიაცია ხომ ისე არსად არაა განვითარებული, როგორც აქ უკონტროლობის გამო.

სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ ყველგან აილაგმა ჩარჩთა თავგასულობა და ზომებმაც, ასე თუ ისე, ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ამ ორ მაზრაში და კერძოდ ლეჩხუმში, სულს ჰღაფავს ყველა მომხმარებელი. აქ არ არსებობს არავითარი ნორმა. ფულის შეძენის სურვილებით აღვთ თოვანებულნი, ყველა დარგის ვაჭარ ხელოსანი ერთნაირად ჰყრეჭენ ყველას ისე, როგორც მოესურვებათ, მათ ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად. სასურველი კია საზღვარი დაედოს მათს თავგასულობას, მაგრამ როგორ? ისევ, და ისევ კოოპერატივების, და მათი რიგიან საფუძვლზე დაყენებით. ეს იქნება ერთად ერთი გზა მშრომელთა და ტვირთ მძიმეთა გასათავისუფლებლათ მათი ხელიდან.

—

ლეჩხუმის მხნეელთა მუდმივი ზრუნვა იყო ლაილაშის სამაზრო ქალაქად შექმნა, მაგრამ ამ ცდამ ჯერ-ჯერობით ნაყოფი ვერ გამოიღო, ან რით ხელმძღვანელობდნენ ეს ქვეყნის მოამაგენი წინეთ, ან ეხლა, ვერ წარმომიდგენია: მდებარეობა ლაილაშისა, ვიწრო და უღამაზო, რამდენჯერ მე მითქვამს, რომ ეს ადგილი ლეჩხუმ-სვანეთისათვის არაა ცენტრი და მაინც ჩაცივებიან. უგზოობას ცაგერიც და ლაილაშიც ერთნაირად განიცდის, და, თუ ოდნავ გზის ახრით მივცემთ უპირატესობას ლაილაშს, სამაგიეროდ ის გარიყული მიდამოა, არავითარი წარმოების გაჩაღება იქ არ შეიძლება, არ გაიჩნია არსად ტყე, რაიც დიდ როლს თამაშობს ქალაქის გაშენების საქმეში, შორ მანძილიდან მიწიდვა-კი შეუძლებელია უგზოობისა გამო, მას აქვს მხოლოდ ერთი მისავალი ცაგერით გზა, ოსეთის სამხედრო გზიდან და თვით ლაილაში, როგორცა ვთქვი ისეთ მაღლობ ადგილზეა გაშენებული, რომ არც როდის არ შეიძლება მიუდგეს რკინის გზა და სხვა ასეთები. ცაგერი-კი გაშლილი ადგილია, საქალაქო და საწარმოო ცენტრიც ლეჩხუმ-სვანეთისათვის. ცხენის წყალი, რომელიც ამ დაბას ჩამოუდის სვანეთიდან, მუდმივი და ყოველნაირი სატყეო მასალის მიმწოდებელია და ის აუარებელი ხე-ტყეც, რომელსაც დასავლეთ იმერეთი ღებულობს და მერეც კიდე გააქვთ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა მხარეებში და ხშირად საზღვარ-გარეთაც, ეს მხოლოდ ამ კუთხიდან გამოდის. ერთი ეგაა უგზოობამ დაასამარა ცაგერი და საზოგადოდ ლეჩხუმ-სვანეთის აღორძინება. ამ მდიდარი ადგილის კულტურულ-ეკონომიურად აღორძინება ხომ უნდა მოხდეს ერთ დროს! რამდენიც უნდა არ ვეცადოთ ამ მხრივ თვალების დახუჭვას, ეს აუცილებელია და ამიტომ ვისაც-კი სურს ლეჩხუმ-სვანეთისათვის სიკეთე, არ უნდა დაჰყარის ფარ-ხმალი, რადგანაც ეს დრო არც ისე შორსაა. ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს ოცნებობდნენ ამ მხარეში რკინის გზის გაყვანას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დაწყებული საკითხი, სასურველად დაბოლოვდება. ამ მხრივ ერთად-ერთი მხარეა ეს ადგილი ხონის მხრიდან, სარკინიგზოთ ცხენის წყლის ხეობაზე. ამ მიმართულებით ის არ იწვევს დიდ დაბრკოლებას ცაგერამდი, ხოლო აქედან გვირაბის გაკეთებით ახალ ქალამდი საუკეთესო სიმართულებაცაა, რადგან ოსეთის სამხედრო გზასაც უნდა აჰყვეს ერთ დროს ქუთაისის მხრიდან რკინის გზა და აი ამ ტოტს, აქარის ხიდთან შეუერთდება იგი. ამით ლეჩხუმის ხსნა კი არა, სვანეთის ხსნაც შეიძლება. მე არ ვამბობ, რომ ამ დღეებში ჩვეულებრივი ორთქლმავლის ამოქმედება შეიძლება, თუმც შეუძლებელი არაა არის-რა, მაგრამ დღეს ელექტრონის ძალა იპყრობს მსოფლიო ყურადღებას, იმისათვის ყველაზე მიუვალი ადგილიც ადვილი გადასალახავია და ადამიანის თვალი ხედავს, რომ მისი საშუალებით შეიძლება სვანეთის ცხოვრებისა და აუარებელი ბოლოხის ამოძრავება.

მდიდარი იყო ტყით ლეჩხუმი. ლეჩხუმელს წარმოდგენაც კი არ შეეძლო რომ ოდესმე ეს აუარებელი ნაძვნარი ასე გაპარტახდებოდა, მაგრამ ტყის უსისტემოთ დამუშავებამ გაანადგურა ეს სიმდიდრე და დღეს ლეჩხუმელს ყვავის შეშაც კი უჭირს. ასეთივე დღე მოელის სვანეთსაც. აუარებელი ხეტყე ნადგურდება იქაც და ეს ხდება ურიგოდ უსისტემოდ ხანგრძლივ მის დამუშავებაში, თვით მესაკუთრეთ და არც თუ დამუშავებულ ძალას არაფერი შეუძენიათ: მუშამ დაცემული შრომის ქირა და თვით ღირებულება ხისა ვერ აძლევდა ვერავის სარგებლობას, ეს იმ დროს, როცა ესხვერპლი დიდი იყო მშრომელთა ხელისა და განადგურება აუარებელი სახაზო სათესი ადგილებისა. ეს დიდი აშკარად აჩნია ცაგერის ქალას.

მთელ ლეჩხუმის მაზრაში ცაგერზე უკეთესი, ანუ მსგავსი როგორც სილამაზით, ისე ცენტრით, არ მოიპოვება. როგორც მახსოვს, ლეჩხუმის მესვეურნი ამ ადგილის ქალაქათ დამტკიცებასაც კი თხოულობდენ სხვა და სხვა დროს, დიდ თხოულობდენ! ასე დადიოდა ხმები და უნდა დავეჯეროთ კიდეც, მაგრამ ამ უკანასკნელათ, როცა ამ ხმები გადახრიკეს, ალბათ არაფერი აღმოჩნდა მსგავსი, თორემ უეჭველია, ეხლა ამ ბედნიერ დღეებში, როცა ასეთი შეამდგომლობის მიხედვით უკვე ქალაქათ დამტკიცდეს და საქალაქო თვითმართველობაც შემოიღეს მაგ. ხონში, მის ახლო სამტრედიაში, ყვირილაში და ქუთაისთაში, ლეჩხუმ-სვანეთის უზარმაზარ მაზრისათვის ამ ბედნიერებას არ და შერგებოდნენ, უეჭველია! ეხლა საქმე მაზრის მოწინავე და ულმობელეთ პირებზეა.

ცაგერში წელიწადში ორჯერ იმართება ბაზრობა (იარმუკა), და ამ ეს ორი დრო,—მაისს პირველი ნახევარი და ენკენისთვის მეორე ნახევარი,—გამოცოცხლებულ-ამოძრავებულ დროთ ითვლება ლეჩხუმის მაზრისათვის. ამ ხანებში აქ იყრიან თავს მრავალ ადგილებიდან გარდა ლეჩხუმის მაზრისა და მრავლად გამოაქვთ, როგორც ოჯახური ნაწარმოები და შინაური საქონელი, ისე უცხო ნაწარმოები და იჩ იდება ვაჭრობა. ლეჩხუმელ-სვანელს, რომელთაც უგზოობისა გამო არ ეხერხებათ თავიანთი ნაწარმოების გატანა და შემოტანაც კი ამ დანიშნულ ალაგზე, ხელსაყრელი ხდება მისთვის, ზედმეტის გასაღება და საჭიროს შეძენაც და ბევრათ თუ ცოტად აქ კმაყოფილდება იგი.

სწავლა-განათლების მხრივ, რომ ლეჩხუმ-სვანეთი და თვით რაჭის მაზრაც საგრძნობლათაა ჩამორჩენილი, ეს უკვე აშკარაა. სპეციალური სასწავლებლებს ამ მაზრებში ვერც კი შეხვდებით, სამანისტრო-ნორმალური, სამრევლო და თითო ოროლა საშუალო სასწავლებელთა არსებობა ვერ აკმაყოფილებს [illegible] ჩამორჩენილ [illegible] მეტი ნაწილი რომ [illegible], ეს ეჭვს გარეშეა; ბედნიერათ ხვედრია მაზრიდან რამდენიმე წარუყვანის ბავშვი სხვაგან, დანარჩენთ კი ხშირათ აფუჭებენ ის ცოტაოდენი ცოდნაც, რაც მიუღიათ, რადგანაც ისინი ისევ და ისევ მიწაზე რჩებიან მიჯაჭვულნი. ამ შემთხვევაში აუცილებელია და მით შეწყნარებელიც იქნება, სამეურნეო ცოდნას მიექცეს მეტი ყურადღება, რადგან მიწის მოყვარულ მცხოვრებთ მომზადებულთ და ხალისით შეაკავშირებს მას მამაპაპეულს და ასეთი ცოდნა ნაყოფს გამოიღებს, თუ არა დღეს-დღეობით, უწინდელ მდგომარეობაში იმყოფება ეს ორი მაზრა. მართალია ზედი-ზედ ცუდმა ამინდმა ანიადაბამ დააზიანა მოსავალი ამ მხარეში, მაგრამ, რომ ძველი პრიმიტიული გზით არ მუშავდებოდეს მიწა, უეჭველია, მეტ ნაყოფს გამოიღებდა შრომა - ეს ეხლაც ჩანს ალაგ-ალაგ ზოგიერთა მიწებზე, რომელთაც გვერდი აუვლიათ ძველი ცოდნისათვის, შეუსწავლიათ ახალი, სხვადასხვა დაკვირვებით, ან სხვაგან მოუპოვებიათ ახალი ცოდნა, ვენახისა, ხილისა, თუ სხვათა მოსავლელათ და ამას ნაყოფიც გამოუღია, მიუხედავად ცუდი ამინდისა, როგორც ვენახზე, ისე სიმინდ-პურის მოსავალზედაც.

ზედი ზედ მოუსავლიანობამ წელში გატეხა ამ მხრის მცხოვრებნი; შრომის მოყვარულთ ერთ-მორიგე, რომ ერთმა, ან ხან-გამოშვებით რამდენიმე წელმა ჩაიაროს ცუდ უნაყოფოდ, დიდ ზიანს ვერ მოიტანს, რადგან, გლეხს ამისი თადარიგი უდგამა აქვს, მაგრამ ხუთი წელია ახლა, რაც ხალხი უზომო ტანჯვას განიცდის. ოჯახი ვალში, როცა მან მიწის ნაყოფი აღარ, ფულიც ძვირია მის ასავსებლად, მით უმეტეს, როცა მამასახლისი ფასობს ყველაფერი და ამ შემთხვევაში ყველა არ არის ბედნიერი გახდეს მისი პატრონი, ან საიდან, როცა ოჯახები დაცლილია მშრომელი ხელიდან, ასე რომ სოფელი დღეს უკიდურეს მდგომარეობაშია და დახმარება არსაიდან ჩანს.

ა. ხაზულიანი

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

ორი თვის წინად ჟურნალ „[illegible]სა და ცხოვრების“ გადმოველი დაბეჭდე წერილი, რომელშიდაც ვეხებოდი რუსთაველის პარტიის დაარსებას საქართველოში და ცალკე ჟურნალის გამოცემას. ბ-ნმა ითაქე იმედაშვილმა ეს წერილი მაშინ, როგორც თითონ სთქვა—დაჰკარგა, ხოლო წაშლილი კვირის მე-41 №-ში მისი ხელის მოწერით წერილი არის მოთავსებული, რომელშიც მას ჩემი აზრები მიუთვისებია.

[illegible] დვალი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

კალენდარი

ოთხშაბათი, ღვინობ. 25

ქართვ. მწ. მოწამეთა და მწყემსმთავართა მარკიანე და მარტირი.

კათოლ. [illegible].

მაჰმად. ჩ-რ-შემბე 21 რ. მუხარამი 1336 წ. ჰ-ჯრისა.

ებრაელ. [illegible] 22 რ. ხეშვან 5678 წ. [illegible].

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

[illegible]

([illegible])

[illegible]:

[illegible] სამგ. № 5, 11.32 დილ.
" სამგზ. № 3, 11.28 საღ.
[illegible] სამგზ. № 16, 8.17 დილ.
" " № 17, 8.19 დილ.
[illegible] ჩქარ. № 6, 9.51 დილ.
" სამგ. № 4, 8.46 საღ.
[illegible] სამგზ. № 4-8, 12.15 საღ.

[illegible]:

[illegible] სამგზ. № 10, 6.38 დილ.
" სამგ. № 4, 7.41 საღ.
[illegible] სამგზ. № 20, 7.57 დილ.
" სამგზ. № 19, 9.50 საღ.
[illegible] სამგ. № 8, 10.26 დილ.
" ჩქარ. № 5, 10.20 საღ.
[illegible] სამგ. № 3, 7.58 დილ.

---

*) Сборн. статей въ честь гр. Уваровой 1916, გვ. 73, 82.